ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№ 71 (132) 15 ივნისი 2010 სახალხო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

2

აშშ-დან ქუთაისში მონაბერო ქარო...

4

სერგეი კრემლიოვი

ლავრენტი-ბერია

მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

გაბრიელ ბატისტუტა ფრანჩესკო (ფრანკო) ბარეზი ფრანც ბეკენბაუერი

12

ქუთარია - კოლხური მითოლოგიის გმირი

ომარ ხუხუა, "ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი

7



მეგრული პოეტიის რაფსოდია

პოეტი ლაშა გახარია

5

თუ არც დიოფიზიტები ხართ და არც მონოფიზიტები, მაშინ, აბა ვინა ხართ, თქვე უპატრონოებო?

როლანდ ჯალაღანია,

6

ფესტოსის დისკო (ანალიტიკური დაიჯესტი)



ქეთი ესართია

11

მეგრულ და ქართულ ენებს შორის მურმანის (ლებანიძის) ეკალივით ამოზრდილ ფუტკარაძეს, გვანცელაძეს და მათ ძმებს!

10

ეს ნაძირალები, მართლა არ არიან ქართველები

ლ.ლეკიაშვილი

3

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე, მარიამ (მაკა) შარვაშიძისა, ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი და დიმიტრი (დიმა) შარვაშიძე

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა ერთობლივად გამოსცეს პროფესიით ექიმის პაატა ძურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებული ილუსტრირებული "ქართულ-აფხაზური ალბომი". მასში XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო, იმ ხანგრძლივი ეპოქისა, რომლის დასაწყისი საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. გთავაზობთ სტატიებს აღნიშნული ჟურნალიდან.

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე-ჩაჩბა

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ-აფხაზურ სულიერ, კულტურულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობაში არაერთ აფხაზ მოღვაწეს აქვს სათანადო წვლილი შეტანილი. მაგრამ მათ შორისაც გამოირჩევა შარვაშიძეთა საგვარეულოს კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე.

გიორგი შარვაშიძე წლების განმავლობაში ჯერ თბილისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი (1883-1889 წლებში), ხოლო შემდგომ გუბერნატორი (1889-1897 წლებში) იყო.

იგი **"მეტად დიდ როლს თამაშობდა XIX საუკუნის დასასრულის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მართალია, მას მეცნიერული შრომები და მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები არ დაუტოვებია, მაგრამ სახელმწიფოებრივი და საქველმოქმედო მოღვაწეობით იმდენი სასარგებლო და ეროვნული საქმე გააკეთა, რომ იმთავითვე ქართველი მოწინავე ინტელიგენციის დიდი სიმპათია და ხალხის მოჭირნახულე მოამაგის სახელი მოიპოვა"** – წერს პროფესორი ოთარ ჭურღულია თავის წიგნში **"შარვაშიძეები"**.

XIX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრების რეალობამ გიორგის ბაბუა ჰასან-ბეი შარვაშიძე (1797-1837), აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძესთან დააპირისპირა, რადგან მიხეილი სამთავროს რუსეთთან დაახლოების მყარ კურსს აგრძელებდა. თურქული ორიენტაციის ჰასან-ბეი კი რუსებისადმი არ იყო დიდი სიმპატიით განწყობილი და ამას არც მალავდა. იმის შიშით, რომ მცირეწლოვანი ვაჟი დიდ გავლენიან ბიძას ტახტიდან არ ჩამოეგდო, მთავრის მეუღლემ თამარ დადიანმა ყველა ღონე იხმარა, რათა კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას, მაჰმადის რჯულის მიმდევარი, ჰასან-ბეი შორეულ ციმბირში გაესახლებინა. გადასახლება რვა წელი გაგრძელდა და შემდგომ, კვლავ თამარ დადიანისავე შუამდგომლობით ჰასან-ბეი აფხაზეთში დააბრუნეს.

დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ჰასან-ბეი შარვაშიძეს უკვე გადაფასებული ჰქონდა უწინდელი პოლიტიკური შეხედულებები. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მან კავკასიის რუსულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. ამასთანავე, შვილი ქრისტიანად მონათლა და დიმიტრი უწოდა.

მიუხედავად მთავართან შერიგებისა, ბიძა-ძმისშვილს შორის უნდობლობა არ გამქრალა. სრულიად მოულოდნელად, სად-სალამათი ჰასან-ბეი გარდაიცვალა. როგორც წყაროები მიუთითებენ იგი მოწამლეს და ამაში მთავრის ერთგულ პირებს ადანაშაულებდნენ. საშიში კონკურენტის თავიდან მოშორების შემდეგ მიხეილ შარვაშიძეს ცდა არ დაუკლია ბიძის უმდიდრესი მამულების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია.

ჰასან-ბეის ვაჟი დიმიტრი ბავშვობიდან, სამეგრელოს ტახტის მემკვიდრე – დავით დადიანთან ერთად, თბილისში მთავარმართებელ ბარონ როზენის ოჯახში იზრდებოდა. ყმაწვილობა მათ ერთად განვლეს და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ (დიმიტრი დავითის დაზე

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე-ჩაჩბა. 1898 წელი

– ალექსანდრაზე (პუპი) იყო დაქორწინებული). ის შემდეგ რუსეთის არმიის ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკში მსახურობდა და პოლკოვნიკის წოდებით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ომერფაშას წინააღმდეგ ბრძოლებში.

ყირიმის ომის დასრულების შემდგომ, დიმიტრიმ აფხაზეთში გადაწყვიტა დამკვიდრება, მაგრამ ამისათვის უპირველესად მთავართან უნდა მოეგვარებინა ურთიერთობა. გატიალებული მემკვიდრეობა მოწესრიგებას მოითხოვდა. შუამდგომლობა მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გიორგი ერისთავმა, აფხაზეთში დამკვიდრებული რუსული ჯარების მთავარსარდალმა მიხეილ ლორის-მელიქოვმა, გენერალმა კაც მარღანიამ და დიმიტრის აღმზრდელმა თლაფს მარშანიამ ითავეს. ასეთი ავტორიტეტული პიროვნების თხოვნას მთავარი მიხეილი ვერ უგულვებელყოფდა და მანაც ბიძაშვილს საჯაროდ აღუთქვა მხარდაჭერა. კონფლიქტის მშვიდობიანი დასრულებით დიდხანს არ გაგრძელებულა დიმიტრის ტკბობა. მასაც მამის ბედი ერგო, რამდენიმე თვეში ის მოწამლეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

«США фактически смирились с тем, что Южный Кавказ является сферой влияния России»

интервью с аналитиком по этническим конфликтам и международным связям, зав. кафедрой международных исследований Университета Северной Дакоты Томасом Амбросио:

- Как вы бы оценили нынешнее состояние отношений между Азербайджаном и США, а также между США и Турцией?

- Политика администрации Обамы по отношению к этим странам претерпела некоторые изменения в сравнении с администрацией Джорджа Буша. При Буше Азербайджан рассматривался в качестве ключевой страны в стратегии США на Кавказе. Часть администрации Обамы делала акцент на том, что необходимо изменить политику своего предшественника, а поскольку Азербайджан был в числе стран-фаворитов Буша-Чейни, его значение в глазах Обамы практически уменьшилось.

Подобное отношение также объясняется желанием достижения «перезагрузки» в отношениях с Россией, сфокусировавшись на отношениях с ней как на отношениях первостепенной важности. Все это привело к тому, что США фактически признали и смирились с тем, что Южный Кавказ является сферой влияния России.

Что касается Турции, то Обама сделал приоритетом именно Турцию, совершив свой первый зарубежный визит именно в эту страну.

Турция, как светская, современная демократия, рассматривается в качестве очень важного партнера в свете попыток Барака Обамы наладить более тесные отношения с мусульманским миром.

Предложение о нормализации отношений между Анкарой и Ереваном было частью большого плана, поскольку по мнению администрации Обамы это не только должно было ослабить интенсивность обсуждений вопроса «геноцида», но и положительно сказаться на ситуации на Южном Кавказе.

Однако, как мы знаем, быстрой ратификации протоколов по нормализации не произошло, даже несмотря на давление со стороны США.

В результате, казавшееся реальным успехом внешней политики администрации Обамы, подписание протоколов в октябре 2009-го в привело к кризису, что может подорвать отношения между Вашингтоном и Анкарой.

- Можно ли сказать, что Кавказ не входит в приоритеты администрации Обамы? Некоторые аналитики считают, что такого рода действия могут привести к потере Вашингтоном влияния на Южном Кавказе. Насколько это верно?

- Абсолютно верно. Необходимо понять образ мышления администрации Обамы, которое является отражением снижения мощи США в международной системе.

Обама хочет избавить США от зарубежных обязательств и установить что-то вроде многополярного мира.

Это приводит к возникновению сфер влияния, в ряде из которых США будет играть меньшую роль. Например, Южный Кавказ можно считать одним из таких регионов. Кроме того, администрация Обамы главным приоритетом считает внутренние вопросы.

В ближайшее время весь политический капитал и основное внимание будет уделяться именно внутренним вопросам, таким как здравоохранение, последняя попытка теракта в Нью-Йорке, крупному разливу нефти в Мексиканском заливе, а также предстоящим выборам 2010 года.

Этидва фактора(снижение интереса и возможностей повлиять на мир и все большее внимание к внутренним вопросам) влияют на общее ослабление американских интересов за рубежом.

- В одном из ваших интервью вы отметили, что урегулирование Нагорно-Карабахского конфликта не входит в приоритеты администрации Обамы. Тогда что в этом случае должен делать Азербайджану?

- Я полагают, что в данной ситуации Азербайджан вряд ли может сделать что-то, чтобы превратить этот вопрос в приоритетный для США.

Частично это связано с тем, что конфликт является замороженным, как такового серьезного «напряжения», способного притянуть внимание Америки к нему, нет. В то же время, в мире по сей день есть намного более «активные» проблемы.

Не то чтобы, я хотел бы предложить, перейти к активным боевым действиям. Но, тем не менее, учитывая укоренившиеся позиции двух сторон в конфликте, американская политика здесь пассивна.

- Насколько реалистичен прогресс в урегулировании карабахского конфликта в ближайшее время?

- На мой взгляд - не реалистичен. Позиции двух сторон взаимно противоположны.Хотя было много разговоров о пересмотренных Мадридских принципах, публичные заявления армян и азербайджанцев показывают, что серьезных продвижений в позициях сторон все еще нет: Ереван продолжает говорить о самоопределении, Баку продолжает настаивать на территориальной целостности. Очень мало, что изменилось со времени заключения соглашения о прекращения огня в середине 1990-х годов.

- Каких событий следует ожидать на Южном Кавказе в 2010 году?

- На мой взгляд сближения Армении и Турции скорее всего, не произойдет, и обе страны будут отброшены к отношениям на подобие тех, что мы видели в 90-е годы. Нагорно-Карабахский конфликт также останется замороженным с множеством разговоров о «неизбежном дипломатическом прорыве», но, к большому сожалению, без реального проявления оного.

Из существенных изменений, я бы отметил только вероятную «финляндизацию» Грузии, поскольку она осознает, что ее связи с США переживают упадок, а шансы на вступление в НАТО практически равны нулю.

Эльшан Рустамов

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე

"იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე"

ლევან სანიკიძე

...გერმანიაში მოღვაწე ცნობილმა ლაზმა ქალბატონმა სალმა კოჩივამ გამოსცა შესანიშნავი ნაშრომი ლაზების შესახებ, რომლისთვისაც (წიგნის გამოცემის გამო) სასამართლოში უჩივიან. სალმა კოჩივას არაფერი აქვს თურქეთის ერთიანობის, მთლიანობის საწინააღმდეგო, პირიქით, ლაზ-მეგრელების მოძრაობა ერთგულად უჭერს მხარს ერთიან თურქეთს, როგორც თურქეთში მცხოვრები მეგრელ-ლაზები, როგორც ქალბატონი კოჩივა ამბობს, თურქეთის ერთგული მოქალაქეები არიან და ისიც კარგად იციან, რომ ლაზეთის გარეშე ვერ იქნება თურქეთი. მაგრამ თურქეთში მცხოვრებ ლაზებსაც უნდათ ჰქონდეთ უფლებები. სალმა კოჩივა მოუწოდებს მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, დემოკრატიულ ძალებს, მხარი დაუჭირონ ლაზურ ორგანიზაციებს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში და ასევე თხოვს მათ, ხელი შეუწყონ ლაზურ ორგანიზაციებს ლაზების მსოფლიო კონგრესის ჩატარებაში.

თურქეთის ლაზ-მეგრელების მოძრაობა დემოკრატიული მოძრაობაა. მათ სურთ, თურქეთი იყოს უფრო მეტად დემოკრატიული ქვეყანა, სოციალურად კიდევ უფრო განვითარდეს, შევიდეს ევროკავშირში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კოჩივა, თავისი წიგნებითა და სტატიებით აღიარებს თურქეთის ერთიანობას, თურქეთის დემოკრატიულ მოძრაობას, ამიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, მაინც უჩივიან სასამართლოში ლაზებზე წიგნის დაწერის, თურქეთში და საზღვარგარეთ მეგრულ-ლაზური დემოკრატიული ორგანიზაციების დაცვისა და ხელშეწყობისათვის (გერმანიაში არსებობს მოძრაობა **"ლაზებურა"**).

ცნობილია, რომ 2005 წელს, **აშშ**-ს პრეზიდენტის ბუშის თბილისში სტუმრობის დროს, შესანიშნავმა ქართველმა მომღერალმა ლელა წურწუმიამ ლაზური სიმღერა იმღერა, რომელიც მთელმა მსოფლიომ მოისმინა. ეს ღონისძიება არავითარ უხერხულობას არ უქმნიდა თურქეთს, არავითარ შეურაცხყოფას არ აყენებდა თურქეთის სახელმწიფოებრიობას.

თურქეთში მცხოვრებ ლაზ-მეგრელებთან ნორმალური ურთიერთობის შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს, საქართველოს ხელისუფლების დიალოგს თურქეთის ხელისუფლებასთან. ასეთი დიალოგი ლაზების საკითხზე აუცილებლად უნდა მოეწყოს. თურქეთელ ლაზებსა და საქართველოს შორის ჯანსაღი კულტურული და სხვა ურთიერთობის გაუმჯობესებით დაინტერესებული მკვლევარი გია ოქრობაგელ-ხეველი წერს: **"ჩვენ განსაკუთრებულად ფაქიზად უნდა მოვეპყროთ თურქეთის მეგრელ-ლაზებს, მათ სარწმუნოებას, ამ საქმეში უნდა ჩაერთოს ყველა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მეგრელ-ლაზებს – მათი ქართველობა განსაკუთრებული არგუმენტია, არაფრისდიდებით არ უნდა დაიკარგოს თურქეთში მცხოვრები ლაზ-მეგრელების დემოგრაფიული რესურსი, თორემ ეს იქნება უდიდესი დანაშაული"**. საქართველომ უნდა შეინარჩუნოს და ნორმალური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს თითოეულ ქართველთან, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი. ზემოთ აღნიშნული ავტორი ამბობს: რა დაუჯდება საქართველოს ხელისუფლებას, რომ მესხეთის ქედზე ერთი თანამედროვე სატელევიზიო ანტენა დადგას, რათა მეგრელ-ლაზებმა და მესხებმა თურქეთში უყურონ ქართულ გადაცემებს?! კარგი საქმე გაკეთდება, თუ ქართველი ბიზნესმენები დააფინანსებენ ასეთ კეთილშობილურ საქმეს.

ქალბატონი სალმა კოჩივა აყენებს იდეას, ჩატარდეს ერთიანი ლაზური სალიტერატურო ენის დამდგენი კონფერენცია. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2003 წელს თურქეთიდან ჩამოსულმა ლაზებმა თბილისის ოპერის თეატრში გრანდიოზული საღამოს ჩატარების შემდეგ, გაზეთ **"კვირის პალიტრის"** კორესპონდენტს განუცხადეს: ათ წელზე მეტია, ვიბრძვით შევქმნათ ლაზური დამწერლობა, ჯერჯერობით არაფერი გამოგვდისო, მაგრამ სხვასთან არ ვითქვიფებით და **"ლაზურობის"** შენარჩუნებას ვახერხებთო. ამ საქმეში საქართველომ უნდა თქვას თავისი სიტყვა. სასურველია ასეთი კონფერენციის თბილისში ჩატარება.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება საქართველოს პრეზიდენტთან ან მთავრობასთან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს თურქეთის მთავრობასთან, თურქეთში მცხოვრები ქართველების – ლაზ-მეგრელების საყოფაცხოვრებო, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო, უფლებრივი მდგომარეობის მოსაგვარებლად. პირველ რიგში, საჭირო მომზადდეს პირობები ლაზური სალიტერატურო ენის დამდგენი საერთაშორისო კონფერენციის მოსაწვევად, რომელიც უთუოდ უნდა ჩატარდეს – ეს თურქეთის დემოკრატიული განვითარებისათვის უდიდესი ხელშეწყობა იქნება.

სტალინი და საქართველოს დაკარგული ტერიტორიები

მრავალჯერ ქცეულა საქართველო უმადურთა და სჯულგამოცვლილთა იარაღის სამიზნედ. ფენიქსისებრ მრავალჯერ აღმსდგარა ფერფლიდან უცხოტომელ ბარბაროსთა ცეცხლითა და მახვილით განადგურებული საქართველო. მტრები დღესაც უტევენ ერთნულ სამებას – ენას, მამულს, სარწმუნოებას. უდიდეს განსაცდელშია აფხაზეთი, შიდა ქართლის უდიდესი ნაწილი, უკეთეს დღეში არც ქვემო ქართლი და სამხრეთ საქართველოა...

...ცნობილია, რომ ოსმალეთის საქართველო (ილია), თურქეთის საქართველო (გიორგი ყაზბეგი), სამუსლიმანო საქართველო (ექვთიმე თაყაიშვილი) – საქართველოს ტერიტორიის თითქმის მესამედი, უმდიდრესი მიწა-წყალი, თურქეთს აქვს მიტაცებული.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: **"სამუსლიმანოს საქართველოს" შეადგენს თითქმის მთელი ბასეინი ჭოროხის მდინარისა, პატარა პროვინციის გამოკლებით აჭარისტანისა ბათუმის გამოკლებით აჭარისტანისა ბათუმითურთ, ზემო წყლის მდინარე მტკვრისა, სოფელი არდაჰანის ოკრუგი ყარსის ოლქისა, და ფოცხოვის უჩასტოკი, მტკვრის შემდინარე მდინარე ფოცხოვის წყლის ბასეინში, რომელიც წინათ არდაჰანისვე ოკრუგში შედიოდა. ამგვარად, მთელი ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელი ჩვენ ისტორიაში ცნობილი იყო ტაო-კლარჯეთად".**

"სამუსლიმანო საქართველოს" ამ ვრცელ ტერიტორიაზე მდებარე ბევრი ციხე-ტაძარი-ეკლესია დღეს ქართულად არ იხსენიება: **"ანჩა, ართვინი, არტაანი, ახტალა, ბანა, ბერთა, გოიუბა, დოლის ყანა, დედაშენი, ერუშეთი, ექექი, თუხარისი, თეთრი ციხე, ისე, კალმახი, კოლა, ლინეპოსი, მელო, მუხლაჯიღალისი, ოკდემი, ოპიზა, ოთხთა ეკლესია, ოშკი, პარხალი, სვეტი, სუხბეჩი, სისთოროთი, ტაოსკარი, ტბეთი, ურთა, ფექრაშენი, ფანასკერტი, ქობერი, ქორი, შევშეთის ციხე, შატბერდი, ციხეგარეობისა, წყურწყამი, წყაროსთავი, წერეთის ციხე, ყველის ციხე, ხოფა, ხანძთა, ხახული, ჯაყის ციხე..."** ასევე: **"ბახთალა, ელისოს ციხე, კახი, კუმი, კატეხის ციხე, ლეკიტი, მონასტერი, მადლი, ქურმუხი, ძეგამი, ამირტყლი, გალიართა, დათუნა, ხუზახი, ალბიერდი გოშაისყალა, კასრის კარი, თარგამოსი, ოლი, სენტი, ზედა ჩეგემი, ნარი, ნუზალი, ტყობაერდი, ხოზიტამარიამი, ქალაქი..."**

ამათ გარდა, კიდევ რამდენია გამქრალი, მიწის პირისაგან აღგვილი ტაო-კლარჯეთში, იმერხევში, ლივანაში, ჭანეთ-ლაზეთში, შავშეთში, არტაანში – ციხეები, ტაძრები, სასახლეები. ყველაფერი ეს დაკარგულია. ისტორიული, და ამასთან ერთად, ჩვენი ბედუკუღმართობით, უყაირათობით, საერთაშორისო იმპერიალიზმის დაგეგმილი მოქმედებით, და, როგორც ირკვევა, ქართველთა (ან ქართულ გვარებს ამოფარებულ სომეხთა – **"ილორი"**) ხელშეწყობითაც. ჩანს პირველობისათვის ბრძოლას ენაცვალა ყველაფერი – ეს ქართველთა უძველესი ავადმყოფობაა.

თუ როგორ უნდა მომხდარიყო **"სამუსლიმანო საქართველოს"** საქართველოსათვის დაბრუნება, ქვემოთ მოყვანილი მასალებიდანაც ჩანს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა დამარცხდნენ გერმანია და იაპონია, საბჭოთა კავშირმა მძლავრი იდეოლოგიური კამპანია დაიწყო თურქეთის **"წინააღმდეგ"**, საბჭოთა რუსეთის მიერ 1918 წლის მარტის – ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, ქართველი ხალხის ზურგს უკან თურქეთისათვის გადაცემული ყარსის, არტაანის, ართვინის და სხვა ქართული მიწების დასაბრუნებლად, პრესაში ქვეყნდებოდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა წერილები საქართველოს ისტორიის, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის საკითხებზე; დაიბეჭდა წერილი ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრის, აჭარის ყადის რასიხ სულეიმანის ძე ბერიძის ძველი ქართული მიწა-წყლის დაბრუნების მოთხოვნით; რუსთაველის თეატრში იდგმებოდა ილო მოსაშვილის **"ჩაძირული ქვები"** და სხვა.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით მოვიტან ზოგიერთ დოკუმენტურ მასალას: მიუთითებენ, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ, რუსეთის გენერალიტეტის ერთ ნაწილს უნდოდა ბრძოლის გაგრძელება და მთელი დასავლეთ ევროპის **"განთავისუფლება"**. თურმე, მებრძოლი-ჯარისკაცები თავიანთ მეთაურებს ეკითხებოდნენ: რატომ გაჭერდით, რატომ არ მივდივართ წინ, დასავლეთისაკენო? (რუსეთში წერენ, რომ ამის შესაძლებლობა მაშინ არსებობდა). ამას განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ლ. ბერია და პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობა. ლ. ბერიას პოლიტბიუროს სხდომაზე უთქვამს: ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც ჩვენ გავანთავისუფლეთ, მივცეთ უფლება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზით განვითარდნენ, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნები – გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვები, არ მოინდომებენ საკუთარ ქვეყნებში კოლმეურნეობები შექმნან და მოსახლეობა დაამშიონ და სხვ. ეს გეგმები ჩაშალა, გენერალიტეტის სურვილი ვერ განხორციელდა. ი. სტალინმა იცოდა, კაცობრიობისათვის თუ რა დამღუპველ შედეგებს მოიტანდა დასავლეთ ევროპაში ომის გაგრძელება.

ცნობილია, რომ სსრკ კავშირმა ჯარების მნიშვნელოვანი ძალები განალაგა საქართველო-თურქეთის საზღვარზე, განახორციელა მთელი რიგი იდეოლოგიური ღონისძიებანი, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული უძველესი ქართული ტერიტორიები საქართველოს დაბრუნებოდა (ამ საკითხზე სხვაგანაც გვაქვს საუბარი, მაგრამ მისი უფრო ვრცლად გადმოცემის საჭიროება გამოიწვია ი. სტალინთან და ლ. ბერიასთან ცნობილი თურქი მწერალ-კომუნისტის ნაზიმ ჰიქმეთის საუბრის მასალებმა). ამ საკითხზე მსოფლიო აშკარად ხმაურობდა, თურქეთი შეშინებული იყო, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნის უძლიერესი არმია შემუსრავდა თურქეთს. არსებობდა შესაძლებლობა დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილიყო...

...ეს გეგმა სამუდამოდ ჩაიშალა. რატომ? რამ განაპირობა? მას მთელი რიგი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თვითონ ჩვენ, ქართველები ვიყავით. ჩვენ ჩავშალეთ – ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებით, რომელიც მოამზადა საქართველოს ზედა ფენის ერთმა ნაწილმა და რომელმაც მოახერხა ი. სტალინისა და ლ. ბერიას ურთიერთდაპირისპირება. ამის შესახებ დოკუმენტური მასალა გამოაქვეყნა იმ პერიოდის უშიშროების ორგანოს მუშაკმა გიორგი (ხუტა) ხუფენიამ **"მეგრული ნაციონალიზმი", ანუ შეთქმულება ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ"**. ამ ნაშრომს ყველა ქართველი უნდა იცნობდეს, რომ მსგავსი აღარასოდეს განმეორდეს.

1951-1953 წლებში საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიას თავიდანვე სათავეში ედგა საქართველოს უშიშროების მინისტრი რუხაძე. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ელისაბედაშვილი, ეგნატაშვილი, ტიტვინიძე, ზოგიერთი სხვები, მათ შორის მგელაძე.

ნ. რუხაძემ კარგად გამოიყენა ი. სტალინის 1950-1951 წლებში დასასვენებლად ჩამოსვლა სოჭში, გაგრაში, ლიკანში, წყალტუბოში.

წყალტუბოში მყოფმა სტალინმა, საქართველოს კპ ცეკას პირველ მდივანთან ჩარკვიანთან საუბრის შემდეგ, მისი შუამდგომლობით, მიიღო საქართველოს უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე, რომელიც ბელადს მოახსენებს მეგრელებზე არარსებულ ანტისახელმწიფოებრივ მასალებს. სულ მალე შეიქმნა დოკუმენტი (საქართველოში დაიწერა) ე.წ. **"მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფი"**, რომელსაც მოჰყვა პირველი დახურული წერილი (გიორგი ხუფენია. **"მეგრული ნაციონალიზმი"** ანუ შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ – ჟურნალი **"აია"**, 2007 წელი, №12, გვ. 106-107). დაიწყო მეგრული წარმომავლობის პირთა მასობრივი დაპატიმრებები. დააპატიმრეს მეგრული წარმოშობის საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს მოქმედი და ყოფილი მდივნები, ყველა მინისტრი და მინისტრის მოადგილეები, კომპარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტის მდივნები, სამეგრელოს პარტიის რაიონული კომიტეტის ყველა პირველი მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები, პროკურორები, მოსამართლეები, მოწინავე საბჭოთა მეურნეობის დირექტორები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, საშუალო რგოლის მუშაკებიც კი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობიდან გამოიყვანეს ცნობილი მწერლები.

როგორც გ. ხუფენია წერს: საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ გლობალურ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ქართველი ერის გამოჩენილები (ნ. რუხაძე, ა. მგელაძე, გ. ელისაბედაშვილი, გ. ეგნატაშვილი). სამწუხაროდ, მათთან ერთად აღმოჩნდნენ საქართველოს კომპარტიის ცეკას და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელებიც.

რათა რაიმე ეჭვი არ გამჩდარიყო, **"ბრძოლა იწყება ქართლ-კახეთიდან, რათა აღნიშნულ ღონისძიებას შეფასება მისცემოდა, როგორც ბოლშევიკური სულისკვეთებით გადადგმული მტკიცე ნაბიჯი, საქართველოში ნეგატიური მოვლენების ამოსაძირკვად. იჭერენ რაიონისა და ქალაქის პროკურორებს, მოსამართლეებს, ხსნიან და იდევნება მილიციის ხელმძღვანელები და ოპერატიული შემადგენლობა".**

ასევე, საქართველოდან გასახლებული იქნენ ბერძნებიც, რომლებიც საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევდნენ.

კლიმენტი შელია,
აკადემიკოსი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

ეს ნაძირალები, მართლა არ არიან ქართველები

"...ქართველი ამას იკადრებს? არა!.."
მუხრან მაჭავარიანი

დიდი ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანის ეს ლექსი იმ "ქართველებს" ეძღვნება, რომლებიც ჩვენი წინაპრების მიერ ძვირფას ანდერძად დატოვებულ ტრადიციებს უხეშად არღვევენ და ფეხქვეშ თელავენ. ერთ-ერთი ამგვარი ტრადიცია გახლავთ ღრმად მოხუცებული ადამიანისადმი მოწიწება. მაგრამ, თუ ჩვენი კაცისმკვლელი და ფარისეველი ხელისუფლების მიერ ჩადენილ უკადრის საქმეთა ჩამონათვალს გაეცნობი, ძნელი არაა დარწმუნდე, რომ ქართველი ამას მართლა არ იკადრებს. ერთ-ერთ მათ უკადრის საქციელს კი ახლავე გაგაცნობთ.

მართლაც შოკისმომგვრელი გახლდათ საქართველოს საზოგადოებრიობისათვის, **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ, სატყეო მეურნეობის გენერალური დირექტორის შოთა ნეფარიძის დაპატიმრება. ჩვენ ვერ შევუდგებით იმის მტკიცებას, დამნაშავე იყო თუ არა ეს პიროვნება, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება 83 წლის ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთას. ახლა შოთა ნეფარიძერ უკვე 90 წლისაა, მაგრამ მაინც მიიღო უწყება სასამართლოდან, რის შემდეგაც იგი წყნეთის საკუთარ სახლში ჟურნალისტებს შეხვდა. აი, რა მოუთხრო მან სტუმრად მისულ ჟურნალისტებს:

– ახლახან სასამართლოდან უწყება მომივიდა, მგონი ისევ გასამართლებას მიპირებენ. 90 წლის კაცს სასამართლოში სიარული სად შემიძლია?! თანაც, სასამართლო პროცესი კვირა დღეს არის დანიშნული (?!). საქმე ან რაღაც კურიოზთან გვაქვს, ან ნამდვილად ჩემი დაცინვა გადაწყვიტეს.

ალბათ იმიტომ მიბარებენ, რომ პირობითი სასჯელი ჯერაც არა მაქვს მოხდილი. ყოველთვიურად პრობაციის სამსახურში მისვლა და საბუთზე ხელის მოწერა მევალება. შერყეული ჯანმრთელობის გამო თბილისში ჩასვლას ვერ ვახერხებ. ვუთხარი, თქვენთან ს\იარულს ვერ შევძლებ, საბუთი ფოსტით გამომიგზავნეთ, ხელს მოვაწერ და გამოგიგზავნით-მეთქი, მაგრამ, მაინც არ შემეშვნენ. ახლა სასამართლო უწყება გამომიგზავნეს და, როგორც ვატყობ, საფლავშიც ჩამყვებიან! აბა, დაჭერით ვერ დამიჭერენ და ფულიც აღარ მაქვს, რომ წამართვან.

მაშინ იმ გაფუჭებულმა ოქრუაშვილმა დამიჭირა. გენპროკურატურის (უკვე ყოფილმა) გამომძიებელმა ბონდო გოროზიამ მითხრა, 200.000 დოლარი მოიტანე და გაგათავისუფლებო. ვიდრე ფული არ მიმატანინეს, რეზბალნიცაზე მამყოფეს. იმ თანხის დიდი ნაწილი ბანკიდან სესხად გამოვიტანე და დღესაც ვიხდი პროცენტებს.

ჩემთან ერთად ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი მერაბ ადეიშვილიც იმყოფებოდა. სულ იმას იმეორებდა – ამ ხნის კაცი როგორ დაგიჭირესო.

თურმე ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ მაინც მეამაყება, რომ განსაცდელს ღირსეულად გავუძელი.

ლ.ლეკიაშვილი

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

"1940 წლის 12 აგვისტო.

ოსტაშკოვოს ბანაკში სამეურნეო საქმიანობის შემოწმებით დადგენილია:

1. ბანაკის ხელმძღვანელობამ არაპირდაპირი დანიშნულებით დახარჯა პროდფურაჟის, საამშენებლო და სხვა მასალების სახელმწიფო ფონდი.

2. მიუხედავად სსრკ შინსახკომის სამხედრო ტყვეების საქმეთა მთავარი სამმართველოს შესაბამისი ბრძანებისა, ბანაკში ადგილი ჰქონდა ჩამოსულთა უფასოდ კვების შემთხვევებს.

3. ბანაკის უფროსის მაიორ ამხანად ბორისოვეცის ადგილზე არყოფნისას მისმა თანაშემწემ მილიციის ლეიტენანტმა ამხანაგმა პოლოვიანუკმა მოაწყო ღრეობა სადაც დათვრა და შევიდა ზონაში, რითაც მოახდინა საკუთარი თავის დისკრედიტაცია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სახელმწიფო საფონდო საშუალებათა არამოზნობრივად გამოყენებისათვის ბანაკის უფროსს მაიორს ამხანაგ ბორისოვეცს გამოეცხადოს საყვედური

2. უფროსის თანაშემწეს მილიციის ლეიტენანტს ამხანაგ პოლოვიანუკს გამოეცხადოს საყვედური და განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

3. აიკრძალოს ყველა გარეშე პირის უფასოდ კვება გარდა ვახტიორებისა და სახანძრო დაცვის თანამშრომლებისა.

4. აიკრძალოს ბანაკის ტერიტორიაზე ლუდისა და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა.

5. მიეთითოს ბანაკის კომისარს, უფროს პოლიტხელმძღვანელს ამხანაგ იურასოვს იმისათვის, რომ დროულად არ აღკვეთა უკანონო ქმედებები ბანაკის ტერიტორიაზე.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ჩერნიშოვი".

ამ მონაცემთა წყარო ეჭვს არ იწვევს – ესენია სავსებით **"დემოკრატიული"** დოკუმენტთა კრებული სერიიდან **"რუსული არქივი, დიდი სამამულო"**, რომელიც გამოიცემა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის მიერ, ტომი 24, **"მეორე მსოფლიო ომის უცხოელი სამხედრო ტყვეები"** (გამომცემლობა **ტერა,** 1996 წელი, გვ. 33-34.

აი, როგორი საქმეები ტრიალებდა 1940 წლის ზაფხულში ოსტაშკოვოს ბანაკში.

ასე რომ, მედნოეში პოლონელები მაინც გერმანელებმა დახვრიტეს, ისევე, როგორც კატინში...

რაც შეეხება **"ვალტერის"** სისტემის იარაღს... შინსახკომის შემსრულებლებს გერმანული წარმოების იარაღი მაშინ ნაღდად არაფერში სჭირდებოდათ...

სოფელ მედნოეს რაიონი გერმანელთა ჯარების მიერ ოკუპირებული იყო – უფრო ზუსტად, იგი ფრონტისპირა ზონას წარმოადგენდა მხოლოდ 1941 წლის 13-17 ოქტომბერს. სწორედ ამ დროს შევიდნენ მედნოეში გერმანელები. ბრძოლები კი ძირითადად ამ ზონიდან ჩრდილო-დასავლეთში მიმდინარეობდა, მარიინთან სადღაც მედნოესა და ოსტაშკოვოს შორის შეიძლებოდა მაშინ ყოფილიყო კუნძულ სტოლბნაიადან გადმოყვანილ პოლონელ სამხედრო ტყვეთა ჯგუფები. სხვათა შორის, მაშინ გერმანელებს შეეძლოთ **"ვალტერებით"** დაეხვრიტათ არა მხოლოდ პოლონელი ტყვეები და ისინი შინსახკომის აგარაკთა ტერიტორიაზე ჩაეფლათ მიწაში. ამის გათვლა და გაკეთება გერმანელებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა...

გერმანელები ხომ დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ ომში გაიმარჯვებდნენ. და მაშინ გერმანელები შინსახკომელთა მიერ ჩადენილი საზარელი მკვლელობის ადგილზე მიიყვანდნენ **"დემოკრატ"** ჟურნალისტებს და მთელ მსოფლიოს აუწყებდნენ, თუ როგორი საშინელებებისაგან იხსნეს მათ სამყარო.

მაგრამ გერმანელები კალინინიდან ჯერ კიდევ 1941 წელს გარეკეს, ასე რომ, "მედნაიას" ავანტიურა გერმანელებს ჩაეშალათ და ვიდრე მათ სმოლენსკიდანაც გაყრიდნენ, მხოლოდ **"კატინის"** ვარიანტს დაყაბულდნენ.

ამიტომ, ჩემის აზრით, არ ღირს **"ბერიას ჩანაწერების"** საჯაროდ ფრიალი, რადგან ეს ფარატინა ქაღალდი **"ანტიბერიადის"** ყულაბაში ჩაგდებული კიდევ ერთი უბადრუკი სამხილია. სსრკ შინსახკომს არასდროს არსად არც ერთი პოლონელი ოფიცერი არ დაუხვრეტია. თუმცა (ღმერთო ნუ მიწყენ), ბევრი მათგანი ალბათ ნამდვილად იყო დასახვრეტი... 1942 წელს, როცა ანდერსის არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, ეს პოლონელი **"ჰონორიანი პანები"** საზიზღრად იქცეოდნენ. 1942 წელს ბერიამ მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს იოსებ სტალინს, რომელშიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მყოფი პოლონური არმიის ფორმირების პროცესებისა და იქ არსებულ მორალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მოხსენებითი ბარათი ეფუძნებოდა იმ მონაცემებს, რომელიც დაზვერვის სამსახურმა მოიპოვა აგენტების გამოკითხვით.

მაშინ პოლკოვნიკი დომბროვსკი აცხადებდა:

"მე მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა ბოლშევიკი გენერალი ჩემს ბოსტანში იმუშავებს იმაზე ორჯერ დიდი ურიკით, რითაც მე ვმუშაობ საბჭოთა ბანაკში..."

და ხელი არავის უხლია ამგვარი **"პანი პოლკოვნიკისათვის"**, დახვრეტაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია!

სამწუხაროა, რომ ასე იყო!

1939 წლის 28 სექტემბერს რეიხსმინისტრმა რიბენტროპმა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ვიაჩესლავ მოლოტოვმა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებას ურთიერთმეგობრობისა და საზღვრების თაობაზე. სხვა დიდი სამუშაოების ორგანიზების გარდა ბერიასა და მისი სახალხო კომისარიატისათვის ეს ნიშნავდა ახალი საზღვრების კეთილმოწყობის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებასაც. და არც ძველ საზღვრებზე მიდიოდა ცხოვრება ძალიან მდორედ და მშვიდად – დაწყებული ჩრდილოეთიდან – საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრიდან.

ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის მშვიდობიანი თანაცხოვრება დასრულდა 1939 წლის 26 ნოემბერს, როცა საბჭოთა კავშირის საზღვრისპირა სოფელ მაინილთან რამდენიმე საარტილერიო ჭურვი აფეთქდა.

იმდენად, რამდენადაც სასაზღვრო ჯარი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ეკუთვნოდა, დღესაც ხშირად ისმის გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ არც ეს მომხდარა ბერიას პროვოკაციების გარეშე. მაგრამ, ვავითარებ რა ამ თემას, ვიტყვი, რომ პირველი საარტილერიო გასროლა ფინელებმა მოახდინეს. ისინი მაშინ მართლაც უაზროდ იქცეოდნენ! საზღვრის კონფიგურაცია კი ისეთი იყო, რომ იქიდან ნასროლი ფინეთის მძიმე არტილერიის ჭურვები სავსებით თავისუფლად მიწვდებოდა ლენინგრადს. საავიაციო ბომბარდირების მიერ ლენინგრადამდე მისაღწევად საჭირო დრო კი წუთებით გაიზომებოდა.

ამისათვის დიდი **"მადლობა"** რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველს უნდა ვუძღვნათ, რომელმაც 1811 წელს დააკანონა სახელმწიფო საზღვარი რუსეთის იმპერიასა და ფინეთის დიდ სამთავროს შორის, რის შემდეგაც ფინელების განკარგულებაში აღმოჩნდა რუსეთის ტერიტორიის ნაწილი. ახლა ეს შეცდომა სტალინს უნდა აღმოეფხვრა. და იმდენად, რამდენადაც ფინელები დაყრუვდნენ და დაბრმავდნენ და არ სურდათ გონებამდე მიეტანათ საღი აზრი, სტალინი მოთმინებით ხვდებოდა ყველაფერს და მას ნამდვილად არაფერში სჭირდებოდა ამ პროვოკაციის წამოწყება.

მაგრამ ინცედენტებს ადგილი ჰქონდა და მხოლოდ საბჭოთა სოფელ მაინილთან ჭურვების აფეთქების შემდეგ ბერიამ ხელი მოაწერა საინფორმაციო მოწოდებას, რომლის დასაწყისსაც მე აქ მოვიყვან:

"№5278/ბ, 28 ნოემბერი 1939 წელი.

დღეს, 1939 წლის 28 ნოემბერს, 17 საათსა და 10 წუთზე, მურმანსკის სასაზღვრო განრიგ №17-ოზერკო-35-ის ჯარისკაცებს, სრედნისა და რიბაჩის ნახევარკუნძულებს შორის მოულოდნელად გაუხსნეს ცეცხლი ჩასაფრებულმა ფინელმა მესაზღვრეებმა, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ..."

საბჭოთა სასაზღვრო განრიგი ბრძოლაში ჩაერთო და სასაზღვრო ნაწილმა შეტაკების ადგილას გადაისროლა 10-კაციანი ქვედანაყოფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა შინსახკომის მურმანსკის ოლქის სასაზღვრო ჯარების შტაბის უფროსი მაიორი პრუსსკი. სამი ფინელი მესაზღვრე დატყვევებულ იქნა, ორმა კი ფინეთს შეაფარა ტავი.

იმავე დღეს ფინელები შემოიჭრნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რესტიკენტის სასაზღვრო ზონის რაიონში.

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მოლაპარაკება დიდი ხნის შესული იყო ჩიხში. უფრო სწორედ, იგი ჩიხში ფინელებმა შეიყვანეს (მე ამის თაობაზე დაწვრილებით ვწერდი წინა წიგნში **"ფიურერის კრემლის ვიზიტი"**). და მოვლენათა შემდგომი განვითარება ჩვენის მხრიდან გახლდათ არა მხოლოდ ლოგიკური, არამედ ერთადერთი ოპტიმალური. 30 ნოემბერს დაიწყო სრულმასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციები. და **"ზამთრის ომი"**, როგორც მას ფინელები უწოდებდნენ, გაზაფხულამდე გაგრძელდა.

21 დეკემბერს სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარი ვოროშილოვი წერილს სწერდა სტალინსა და მოლოტოვს:

"კობა და ვიაჩესლავ!

საქმე ცუდადაა! გზები ჩახერგილია, ქვეითი ჯარები ფრონტის ხაზზე მოქმედებენ არა როგორც ორგანიზებული ძალა, არამედ როგორც უმართავი მასა, რომელიც მტრის მიერ მოხდენილი ყოველი გასროლისთანავე გარბის ტყეში მოწყობილი სამალავებისაკენ..."

მაგრამ, ომის შედეგების მიხედვით, **"ტაიმსის"** მიმომხილველმა საბჭოთა ჯარის მოქმედება მთლიანობაში ხუთიანზე შეაფასა, და ბრძნულად შენიშნა, რომ ამ შეტაკებებმა მეტად გამოაწრთო საბჭოთა მუშურ-გლეხური წითელი არმია. ეს ასეც იყო – **"მანერჰეიმის ხაზი"**, რომელიც უამრავი დოტ-ით იყო გამაგრებული, ჩვენმა ჯარებმა ელვისებურად გაანგრიეს, 1940 წლის 12 მარტს კი ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას. მაშინ, როცა სასოწარკვეთილი ვოროშილოვი აღნიშნულ წერილს სწერდა სტალინსა და მოლოტოვს, საბჭოთა არმიის ძალებს დიდი დახმარება გაუწიეს ბერიას შინსახკომის ჯარებმა.

მე, ყოველივე ამის თაობაზე, მოგვიანებით მოგითხრობთ

ევროპაში კი კვლავ ომი მიმდინარეობდა – 1940 წლამდე ეს ომი ბრძოლების გარეშე იყო განაღებული. მაგრამ 1940 წლის 10 მაისი გერმანელებისათვის აღინიშნა როგორც **"იქსი დღე"**. დაიწყო შეტევა ჩრდილოეთ საფრანგეთზე და მალე მოკავშირეთა დაცვითი ზღუდე სრულიად ჩამოიშალა. გერმანელები პარიზში შევიდნენ, ინგლისელებმა თავის იმით უშველეს, რომ დიულკერკიდან მოკურცხლეს.

საბჭოთა კავშირმა კი **"ბალტიისპირეთის"** პრობლემა გადაჭრა... საბჭოეთმა ჯერ კიდევ 1939 წელს გააფორმა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ლიტვასთან, ლატვიასთან და ესტონეთთან. მათ ტერიტორიებზე შეყვანილი იქნა საბჭოთა ჯარები, მაგრამ **"სოვეტიზაციაზე"** საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მაგრამ გერმანელთა წარმატებებმა სიტუაცია კარდინალურად შეცვალა. გერმანია ყოველმხრივ ელვისებურად ვითარდებოდა და ამიტომ, ბალტიის **"ფლანგის"** მისთვის გადაცემა ნამდვილად არ ღირდა. ბალტიისპირეთის ელიტა კი დაუფარავად გაურბოდა საბჭოთა კავშირს და ისწრაფვოდა გერმანიისაკენ.

არ შეიძლებოდა ინგლისელთა დავიწყება, რომელთაც 1940 წლამდე მთელ ბალტიისპირეთში ერთადერთი წარმომადგენელი ჰყავდათ, შემდეგ კი თითოეულ რესპუბლიკაში თითო წარმომადგენელი მოავლინეს! ამასთან, ისინი საგარეო საქმეთა უწყებებში მუშაობდნენ **"კონსულტანტებად"**. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში ვ.გ. პოზდნიაკოვი შიფროგრამით ატყობინებდა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ლიტვინოვს, რომ რიგაში იმყოფება ინგლისის 40-50 აგენტი, რომლებიც ინგლისმა შემოგზავნა იმისათვის, რომ ბალტიისპირელებს გაუძლიერონ გერმანიისაკენ სწრაფვის სურვილი. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1940 წლის აგვისტოში ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ. უფრო ადრე კი ჩვენ დავიბრუნეთ ბესარაბია და შემოვიერთეთ ჩრდილოეთ ბუკოვინა.

მე არ გავჩერდები ამ სიუჟეტზე და ახალი მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის დეპორტაციაზე და მათ წინააღმდეგ გატარებულ რეპრესიებზე, თუმცა, მომდევნო თავში ამ თემას მაინც შევეხები. თუმცა, რამდენიმე წვრილმანის მოხმობა ახლაც შემიძლია.

მას შემდეგ, რაც 1919 წელს ლიტველმა ნაციონალისტებმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღეს **"თავისი"** სახელმწიფო, სახელმწიფო უწყებაში მისულ ლიტველ გლეხს თავზე დასჩხაოდნენ: **"ილაპარაკეთ რუსულად, ლიტვური ენა არ გვესმის!"** და ამას გაჰყვიროდნენ არა რუსები, არამედ... პოლონელები!

ამ სიტუაციაში შეიძლებოდა წაწყდომოდით გერმანელსაც, რომელთა მფლობელობა გააუქმეს რუსმა მეფეებმა და მათ ბაზაზე შექმნეს ლიტველ მიწათმფლობელთა და **"რუხი ბარონების" კასტა. "ნაციონალურ"** ესტონეთში, განსაკუთრებით პეჩორის ოლქის რუსულ სოფლებში ახალგაზრდები რუსულ **"ჩასტუშკებს"** ხმამაღლა ამღერებდნენ, ესტონელი გლეხები კი მზად იყვნენ გაწევრიანებულიყვნენ კოლმეურნეობებში.

ასე რომ, **"წმენდის"** აუცილებლობის საკითხი ბალტიისპირეთში თავისთავად წამოიჭრა!

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).

მითინ მენცარც ვაგაგინგ,
სერირდ დიო დო ვარ – დღაში.
ბრელ იბკილოთ, მა ცოდაქგ,
სიზმარ-ცხადი გეგნობყარში.

დღაშ დუღაშე ეშებლინი,
სერიშ ჭანგრც ქინიფხაში.
ჯგგრო გუმახეჭერუდა,
კითხირ მოკო ჩქიმ აფხაში.

ყევე თხას გილეგორუნი –
მა ვორდეო ეთი ჭყიში?..
კგნ ჭვენცგ დო მერეხანცგ,
ნოქურ ხოლო ვაბძირ თიში;

ქაცარ პუხუთ გილაპუნცუ,
ალმობიჯგ ბიგა წყიში,
კოჩქ ჭკომუო დო ვარ – გერქგ,
ართ მობძუნა ეში ჯიში.

ცა თოლიში ქვინჯ გოხოლგ.
გურ ბჟა რე დო თუთა – შური,
ნოტე, სოლე მიჭვარჭვალგ
თეზმა მურიცხ ჩილამური?

დაო, სო რექ, სი ხვამელი,
ქარწყექ, დიხაქ დილამუნი,
სქან ტიანი ქუმოწისე,
ქოთქვი, მუ ძინ გილამუნი.

სი მუთუნი ვაგაფულუ –
მოხიშ მოხგ, ხუთ ფერიშა,
ჭყორიცალო გობტენქ შურცუ
სქან ტიანიში ყუბერიშა!

თე დიხაშე გეშამირსხი –
ცოდათ გინოლუბერიშა,
ლაგვან მუნაჭაბალ მაფუ,
მოლა დიხაჭუბერიშა.

ვართ მა ვორექ გოდანერი –
გოხოლუქი კოლხიშ სქუა,
დუდ მარქვალი სი რექგ და
ვართ მა ვორექ ეკნასქუა.

ნოტე, მუ რე თი მასუმა –
შურ დო გურიშ შქას სვანჯუნი,
ვართ სი მუგოსვანჯუანცგ,
დო ვართ დუცუ უსვანჯუნი?

არვინ იცის სულ პირველად
დღე გაჩნდა თუ გაჩნდა დამე,
ბევრს ვეცადე მე საწყალი,
სიზმარ-ცხადის გადამყნობას

დღის ქვაბიდან ამოსული
ღამის ქვაბში გადავეშვი,
თუ შევძელი მინდა ბეჭზე
წავიკითხო ბედი ჩემი.

დაკარგულ ყოჩს რომ დაეძებს
მე ხომ არ ვარ იგი მწყემსი?
ისევ წვიმს და ისევ გრგვინავს,
არსად კვალი არ ჩანს მისი.

თიკანი კი ზურგით დამყავს,
მიკავია წყავის ჯოხი,
ვინ შეჭამა: კაცმა? მგელმა? –
ყველას ერთი მოგვდგამს ჯიში.

ცა თვალების არის ფსკერი,
მზე გულია, მთვარე – სული.
ან საიდან მოწანწკარებს
ეს ცრემლები – ვარსკვლავები?

დაო! სად ხარ დალოცვილო!
ხედავ? ცრემლი ალბობს მიწას,
მტევანს შენსას მაზიარე
და მითხარი: რას გვიპირებ!

შენ ვერაფერს დაგიმალავს
მოდგმის მოდგმა, ძველის ძველი,
და მწყერივით მიმდის სული –
შენი მტევნის მარცვლებისთვის.

დამიხსენი ამ მიწიდან –
ცოდვით დამძიმებულისგან,
ქვევრს თავი აქვს დასაგოზი –
წამო, დიხაჭუბურიშა! (წითელი მიწა).

მეც არა ვარ გუშინდელი –
მე გახლავართ კოლხის შვილი,
სათავ-წყარო თუ კი შენ ხარ,
ადარც მე ვარ ნაბოლარა.

ნეტავ რაა ის მესამე
გულ-სულს შორის რაიც სუფევს?
შენ რომ ადარ გასვენებს და
თვითონაც რომ არ ისვენებს?

აშშ-დან ქუთაისში მონაბერო ქარო...

თუ მაისის ქუთაისი შეგეკითხოს, ვინა ხარო, უპასუხე, რომ სამშობლოს სუნთქვა ხარ! – ასე მოძღვრავს პოეტი საქართველოს უძველეს ქალაქსა და არაერთგზის დედაქალაქს. მართლაც საქართველოს სუნთქვა და სულის ანარეკლი გახლდათ ყოველთვის სტუმარმასპინძლობით გამორჩეული ვარდების ქალაქი. მაგრამ, როგორც იტყვიან, დრონი მეფობენ და ქუთაისის სუნთქვას ისეთი სიმყრალე მოეძალა, რომ, მტრისას...

ჯერ იყო და უიმედობის ფორპოსტად ქცეულ **"იმედის"** ტელეარხზე ვიღაც ქუთაისელი პროფესორი გამოიყვანეს და მთელი საქართველოს გასაგონად აძახებინეს: **"კი ბატონო, "პიდარასტი" ვარ და ამით ვამაყობ კიდეცო"**. ოდითგან ადამიანური სილამაზისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ აღიარებულ ქალაქს უკვე მაშინ შეერყა ავტორიტეტი, თუმცა არც თბილისელსა და არც ქუთაისელს მაშინ აზრად არ მოსვლია გაეპროტესტებინა ის, რომ სტუდენტ ახალგაზრდობასთან არ შეიძლება ჰქონდეს ურთიერთობა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანს, რადგან მან შეიძლება გარყვნილების მორევში ჩაითრიოს მის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული სტუდენტი.

ის კი არა, ჩვენმა ერთმა ქუთაისელმა ნაცნობმა გვითხრა: **"ახლა საქართველოში უამრავი "პედერასტია", მაგრამ ამას მალავენ. იმ "პროფესორმა" კი საჯაროდ აღიარა თავისი სიგლახე და ამიტომაც არის დასაფასებელიო"!**

მართლაც რომ, ვაი ჩვენს დღეს, უბედურს!

მაგრამ, თურმე ქუთაისლებს რას ვერჩით, როცა აგერ, თბილისში (როგორც იმერლები იტყვიან: **"ყურისძირში"**) გვქონია უნივერსიტეტი, სადაც ლამის ჰიმნები იწერება პედერასტიასა და სხვა გარყვნილებებზე. ვაი, რომ ამ უნივერსიტეტს ილია ჭავჭავაძის სახელი აქვს დანათლული, რაც ილიას კიდევ ერთხელ მოკვლას ნიშნავს.

მეორე დიდი დარტყმა ქუთაისლებმა სწორედ მაშინ მიიღეს, როცა ამ უნივერსიტეტში, მისი რექტორის, ქართული ლამაზი ტრადიციების წინააღმდეგ დაუღალავად მებრძოლი გიგი თევზაძის ხელდასხმით მოეწყო ვიღაც უბადრუკი ქუთაისელი ერეკლე დეისაძის წიგნის **"საიდუმლო სირობა"** პრეზენტაცია.

2010 წლის 8 ივნისს კი **"იმედმა"** გაგვიმართლა და მის ეკრანზე კიდევ ერთხელ ვიხილეთ სრული არარაობა, სათვალეების მიღმიდან მზირალი სახედეფორმირებული პირგაუპარსავი, ჭუჭყიანი სატანა, ზიზღისმომგვრელი თავხედი არსება, რომელიც აშკარად იტკბობდა პირს **"ჰეროსტრატეს დიდებით"**.

ის ღამე **"იმედზე"** სოდომისა და გომორას აშკარა აღზევება გახლდათ, რომელსაც სხვებთან ერთად, ამ **"მწერლის"** ბინძურ აზრთა დამცველის რანგში ესწრებოდა პირწავარდნილი სომეხი, **"ფარაჯანირების"** ტრუბადური და საქართველოში სომხური შხამის მფრქვეველი ფოტოგრაფი იური მეჩითოვი. ეს ის მეჩითოვი გახლავთ, რომელიც ფარაჯანოვის **"პედერასტული"** იდეების დიდი პროპაგანდისტია და ასევე სომეხ კინოკრიტიკოს კორა წერეთელთან და შერყვნილი მრწამსის მქონე სხვა ვაიქართველებთან ერთად დაურიდებლად ეწევა სხვადასხვა ანტიქართული იდეების სასტიკ პროპაგანდას (მე მას ვიცნობდი, და, სამწუხაროდ, პატივსაც ვცემდი, როგორც პროდუქტიულ ფოტოხელოვანს, რისთვისაც საჯაროდ ვიხდი ბოდიშს).

(ჩვენ უკვე მოვუთხრეთ **"ილორის"** მკითხველებს იმის თაობაზე, თუ როგორ აღმერთებდნენ ამგვარი **"წერეთლები და მეჩითოვები"** ფარაჯანოვის **"სიურრეალიზმის"** კარამელში შეფუთულ ფილმ **"სურამის ციხეს"**, რომელიც უაზრო ფრაგმენტარული წიაღსვლების კონგლომერატი უფრო გახლავთ, ვიდრე მწერალ დანიელ ჭონქაძის მიერ შექმნილი ამ შესანიშნავი ლიტერატურული პირველწყაროს ანარეკლი). ეს **"ქართველები"** იმაზე იყვნენ გულნატკენი, რომ ფარაჯანოვს **"შუშანიკის წამების"** ეკრანიზირების საშუალება არ მიეცაო.

მართლაც ღვთის წყალობაა, რომ ამგვარ წმინდა თემას ფარაჯანოვმა ვერ შეახო თავისი ბინძური ხელი!

მეჩითოვსა და წერეთელს კი იმაზე კრინტი არ დაუძრავს, რომ სომხეთიდან და უკრაინიდან გამოძევებულ, ყველასაგან დაწიხლულ და მიტოვებულ, მათხოვრად ქცეულ ფარაჯანოვს კვლავ ქართველებმა გაუმართეს ხელი და ფილმის გადაღების საშუალება მისცეს, მან კი **"სომხურად"** გადაგვიხადა მადლობა – დაიბარა, როცა მოვკვდები, ერევანში დამასაფლავეთო...

საინტერესოა, როგორ ხასიათზე დადგებოდა იური მეჩითოვი, სატანადქცეულ დეისაძეს ეჩმიაძინი იმ სიტყვებით რომ მოეხსენებინა, რითაც სამების დიდებული ტაძარი მოიხსენია. სომხეთში ამას ვერავინ გაბედავს, მაგრამ საქართველოს სულიერების დასანგრევად რომ არც სომხეთის სომხები იშურებენ ფულად სახსრებს და არც ამერიკელი სომხები (საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებულ სომხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ესეც ფაქტია.

არა და, მართლაც ფალოსივით წამომართული ეჩმიაძინი რომ ანტიქართული დონისძიებებისა და სხვა მრავალი სიყალბის ცენტრია, ამას დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკოც ადასტურებს, რომელმაც მიაკვლია საბუთებს იმის თაობაზე, რომ ყალბი ფულის მჭრელმა სომეხმა თაღლითებმა სწორედ ეჩმიაძინში დადგეს ფულის საჭრელი მანქანა და ვიდრე პოლიცია მათ გამოააშკარავებდა, საკმაოდ დიდი **"წარმატებით"** ავსებდნენ ქვეყნის ბიუჯეტს. გარდა ამისა, მრავალმა ევროპელმა გამოიტანა სააშკარაოზე ეჩმიაძინიდან წამოსული უამრავი სიყალბე ამ ეკლესიისა და მთლიანად სომეხი ხალხის წარსულის თაობაზე. იმის ნაცვლად, რომ მეჩითოვმა და მისმა მსგავსმა სომხებმა ეჩმიაძინისათვის ამ სირცხვილის ჩამოსარეცხად იღვაწონ, ისინი დეისაძისთანა მორალური ნაბიჭვრების წახალისებაზე ზრუნავენ, რათა საბოლოოდ დასცენ ძირს ქართული სულიერება...

მათგან წახალისებული ქუთაისელი დეისაძე კი თავხედობისა და ცინიზმის კორიანტელს აფრქვევს. სამების ტაძარი მე ფალოსს კი არ შევადარე, არამედ იმ პიროვნებას, რომლის ფალოსსაც მისი მეგობარი **"ეალერსებაო"**.

აი, ასეთია **"სანიმუშო"** ქუთაისურ ოჯახში აღზრდილი დეისაძის სახე! მაგრამ, უფრო დიდი უბედურება კი ის არის, რომ ამ სოროს-თევზაძე, პაიჭაძე-თუთბერიძეების **"ჯიბის შემოქმედს"** უკვე ცნობილ ქართველ მწერლად მიაჩნია თავი და იმაზე გვსაყვედურობს, რომ თურმე, **"გაუნათლებელ"** ქართველ მკითხველს სრულად ვერ შეგვიგნია მისი **"ნაწარმოების"** ის შრეები, რომელიც თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობის მრწამსს ასახავს. თურმე ვერ შეგვიგნია ის, რომ მას შემოქმედებითი შთაგონება შთაბერა **"დიდმა ქართველმა მწერალმა ლაშა ბუღაძემ"**, დიახ, იმ ლაშა ბუღაძემ, რომელიც ასპიდივით დაურიდებლად შესრიალდა ქართველთა წმინდანის თამარ მეფის ბუდუარში და ბინძურ ფერებში აღწერა მისი პირველი საქორწინო ღამე.

ეს ის ლაშა ბუღაძეა, რომლის მამის, მხატვარ გია ბუღაძის რექტორობით **"გაბედნიერებულ"** სამხატვრო აკადემიაში სტუდენტები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ერთმანეთს უხვად აფურთხებდნენ და შემდეგ ამ უზნეო და გულისამრევ სანახაობას **"დიდ ხელოვნებად"** წარმოგვიდგენდნენ.

ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ მწერლადწოდებულ მკრეხელ ლაშა ბუღაძის ნაკვალევზე სწორედ ისეთი შხამიანი არსება ამოზრდილიყო, როგორიც ერეკლე დეისაძეა!

აი, ასეთია, **"სანიმუშო"** ქუთაისურ ოჯახში **"მზრუნველი"** მამისა და **"მოსიყვარულე"** დედის მიერ აღზრდილი ერეკლე დეისაძის ჭეშმარიტი სახე!

ასე **"გაიყიდა საქართველო"**, გაიყიდა თავისი შენობა-ნაგებობებიანად და ახალგაზრდებიანად, თავის წარსულ-მომავლიანად და თუ ამ უმსგავსოებას დროზე არ აღუდგა წინ ქართველი ერი, ძალიან მალე საქართველო რეალური კვდომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება!

როგორც ჩანს, ერიც დაძროხდა, თორემ ვინ მოითმენს, რომ დეისაძეები ტელევიზიით გამოჭყავდეთ, მისი უმსგავსო ნამოღვაწარის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ჭაბუკები კი ციხეში ისხდნენ.

სწორედ ამგვარმა უზნეობამ ათქმევინა პოეტს **"ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქათველოვ"**-ო.

მართლაც რომ მიმიფურთხებია დეისაძე-ბუღაძე-თუთბერიძე-თევზაძე-ზურაბიშვილ-ჯანგირაშვილ-აქყბარდია-მეჩითოვის საქართველოსათვის!

ექვსასი წელია იბრძვიან ოსმალეთის კლანჭებში მოქცეული ლაზები ქართული სულის ასაღორძინებლად და ქართული ტრადიციების გადასარჩენად!

ოთხასი წელია იბრძვიან სპარსელთა კლანჭებში მოქცეული ფერეიდანელები ქართული სულის ასაღორძინებლად და ქართული ტრადიციების გადასარჩენად!

ოთხმოცი წელია იბრძვიან მუსულმანთა კლანჭებში მოქცეული ინგილოები ქართული სულის ასაღორძინებლად და ქართული ტრადიციების გადასარჩენად!

უკვე მერვე წელია **"იბრძვიან"** სომეხთა კლანჭებში მოქცეული ვაი-ქართველები ქართული სულის დასამცრობლად და ქართული ტრადიციების გასანადგურებლად!

მართლაც უდღეურები უნდა ვიყოთ ქართველები, რომ ეს ვერ დავინახოთ!

თუ ვერ დავინახეთ და ზომები არ მივიღეთ, მერე სიკვდილიც ახი იქნება ჩვენზე!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის
ნამდვილი წევრი

თუ არც დიოფიზიტები ხართ და არც მონოფიზიტები, მაშინ, აბა ვინა ხართ, თქვე უპატრონოებო?

აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სომხეთში ჭეშმარიტ ქრისტიანებსა და ეკლესიის ხელმძღვანელებს მძიმე ხვედრი ჰქონდათ. კათოლიკოსი ნერსეს დიდი (IV საუკუნის დასასრული) გააფორებული ეომებოდა სომხეთის მეფეს არა იმდენად ქრისტიანული იდეალების სახელით, არამედ, უფრო თეოკრატიის (საეკლესიო-სახელმწიფო მმართველობის) დასაფუძნებლად. არც ეს ბრძოლა მიმდინარეობდა რაინდული წესების დაცვით და, ზოგი წყაროს მიხედვით, კათალიკოსის არაბუნებრივი სიკვდილით დასრულდა. უტყუარი ისტორიული წყაროები ღაღადებენ, რომ მეფე ტიგრან მეორე სომხებს ივლიანე განდგომილის გამოსახულებისათვის თაყვანის ცემას აიძულებდა.

განსაკუთრებულ ინტერესს სომეხთა მართლმადიდებლობიდან გამოვარდნის მომენტი წარმოადგენს. ეს თეოკრატიული მისწრაფებებიდან, პოლიტიკური და მატერიალური მოსაზრებებიდან მომდინარეობდა. პრეცედენტი ადრე მწიფდებოდა, დოგმატიკური პრეტენზიების გაფორმება კი VI საუკუნეში მოხდა, როცა სომხებმა სპარსეთის მეფე ხოსროს გულის მოსაგებად ***საბოლოოდ უარყვეს ქალკედონიის ეკლესიის ფორმულა და მონოფიზიტობას მიემხრნენ***. სპარსელებს ეს ქრისტიანულ სამყაროში განხეთქილების შესატანად და ბიზანტიის დასასუსტებლად სჭირდებოდათ. ასეთივე მისწრაფებებს ავლენდნენ არაბებიც, რომლებიც, ხან მუქარით, ხანაც ფულით მოქმედებდნენ, ე.ი. იმ არგუმენტებით, რომელთა წინაშეც ჰაიკის მემკვიდრეები უძლურნი იყვნენ. ამრიგად, სომხები, ერთის მხრივ, რწმენის დალატის შედეგად, უცხო რჯულის მმართველთა მონებად იქცნენ, მეორეს მხრივ კი, განამტკიცეს იატაკქვეშა სახელმწიფო, რაც მათ სემიტურ ინსტინქტებს, უფრო ზუსტად, თეოკრატიული მმართველობის ინტერესებს პასუხობდა, რომელსაც რელიგიურის საზიანოდ, მატერიალური და პოლიტიკური ინტერესები გააჩნია.

სომხური ეკლესიის ***პოლიტიკურობის*** კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სომეხთა დიდი აპოლოგეტის – ეზოვის ბროშურა **“ეჩმიაძინის საპატრიარქოს რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის დასაწყისი”**. მე-18 საუკუნის დასასრულს, ეჩმიაძინის კათოლიკოსის თანმხლებ საყოველთაოდ სასულიერო პირთა მიერ ტახტზე იქნა აყვანილი არქიეპისკოპოსი გუკასი (ლუკა). კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქმა ზაქარიამ პროტესტი გამოთქვა. გუკასი მას თბილ წერილებს უგზავნიდა. ამასობაში კი კონსტანტინეპოლის სომხურმა დიასპორამ თურქეთის ხელისუფლებას ზაქარიას გადაყენების ნებართვა გამოსტყუა. ეზოვს ამ ნაბიჯისთვის ცამდე აჰყავს გუკასი, რომელმაც ასევე არ დაუშვა ეჩმიაძინის ტახტზე განცალკევებული განძასარის მონასტრის აგვანელი პატრიარქის იზრაელის აღზევება. საუბარია იმაზე, რომ დარტყმა მიეყენებინა აგვანეთის განცალკევების მსურველ საპატრიარქოზე და დაეწესებინა იქ თეოკრატიული მმართველობა. ამ საქმეში ჩინოვნიკთა წინდაუხედაობის თუ ანგარებითი გარიგების შედეგად, სომხებს თეატრალური ერთსულოვნებით მხარი დაუჭირეს რუსეთისა და თურქეთის მთავრობებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ. კონსტანტინეპოლში რუსების წარგზავნილი, სახელად ტომარა, 1801 წელს თანაგრძნობით ატყობინებდა მთავრობას, რომ გუკასი ესწრაფვოდა **“თავისი ერის აღორძინებას რუსეთის დახმარებით”**. უცხოელი კათოლიკოსის ინტერესებიდან გამომდინარე, აგვანეთის პატრიარქი ჯერ შეავიწროვეს, შემდეგ კი, ყარაბახისა და განჯის რუსეთთან შეერთებისთანავე, შეუმჩნევლად გააუქმეს მთლიანად საპატრიარქო. აღმოჩნდა, რომ ***თურქმა პოლიტიკოსებმა მეტი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინეს, ვიდრე მათმა რუსმა კოლეგებმა***. მათ მხარი დაუჭირეს თავიანთი ქვეყნის ფარგლებში სიოსის და ახტამარის საპატრიარქოთა დამოუკიდებლობას “***ყოველთა სომეხთა კათოლიკოსისგან***”.

რაც შეეხება **“ასავალ-დასავალის”** ინტერვიუერ ტერტერას, იგი უაპელაციოდ აცხადებს:

“– ...ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში დავგმეთ მამა ევტიხის სწავლება, რომელიც თვლიდა, რომ ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება აქვს (ღვთაებრივმა შთანთქა იესოს ადამიანური ბუნება). სომხურმა ეკლესიამ შეაჩვენა მონოფიზიტი ევტიხი და ანათემას გადასცა... ჩვენმა ეკლესიამ მამა ნესტორიც მეხუთე საუკუნეშივე შეაჩვენა და ანათემას გადასცა ერესისათვის, ვინაიდან დიოფიზიტობას ქადაგებდა, მისი სწავლებაც არ მივიღეთ... ჩვენ ქრისტეს ორბუნებოვნებას ვაღიარებთ! თუმცა, ვთვლით, რომ ქრისტეში ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური – შეერთებულია, მაგრამ შერეული არ არის...”

დაილოცა ღმერთო, შენი სახელი!

მოდი და გაუგე თავი და ბოლო ამ სომხურ აბდაუბდას: რას უნდა ნიშნავდეს ტერტერასეული **“შეერთებულია, მაგრამ შერეული არ არის”?**

შევეცდებით აგიხსნათ.

საქართველოს და სომხეთის რუსეთთან შეერთებისთანავე სომხური სამღვდელოება მუდმივად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სომხები აქ რაღაც განსაკუთრებულ როლს თამაშობენ და რომ ლამის ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. იმდენად, რამდენადაც საქმეში ჩახედულმა რუსულმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა სომხური მონოფიზიტიზმი, და ისიც, რომ ქართველები რუსეთს **“ერთმორწმუნეობის”** ეგიდით შემოუერთდნენ, არქიეპისკოპოსმა იოსებმა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებით უაღრესად კეთილშობილური ინფორმაციის გავრცელებაზე იზრუნა. 1799 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოვიდა რუსეთში დამკვიდრებულ სომეხთა საწმყსოს არქიეპისკოპოს იოსების წიგნი ***“სომხური ეკლესიის ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა”***, რომლის მე-14 გვერდზე ავტორი წერს: **“ერთი სახე, ერთი იერი, შენივთებულია ერთ ბუნებრიობასთან”**;

50-ე გვერდზე იოსები, დაახლოებით ორი საუკუნის წინათ, ჩვენი ტერტერასეული მონდომებით განმარტავს, რომ ***“ბუნებრიობაში”*** იგულისხმება ***“სახე”***.

მაშინ რა საჭირო იყო ორი ერთმნიშვნელოვანი ცნების მოყვანა! გასაგებია, რომ იოსები ეცადა სომხების მონოფიზიტობის მიჩქმალვას. მან ასევე მიჩქმალა კათოლიკოს იოანე მეოთხის სახელიც, რომელიც სომხურ ეკლესიას წმინდანად ჰყავს შერაცხული და რომელმაც არაბი მუსულმანების საამებლად ქალკედონიის ეკლესია ანათემას გადასცა და შემდეგი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა: **“ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორცშესხმული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანთა მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მას!”**

და ამ ადამიანის შთამომავლები პირზე ქაფმორეულად ამტკიცებენ, რომ ჩვენ ჭეშმარიტი ქრისტიანი მართლმადიდებლები ვართო!

ღმერთო, დაგვიფარე ყველა ამგვარი ურწმუნოებისაგან!

იქნებ სომხურ ეკლესიას თავისი ქრისტიანობის დასამტკიცებლად ჯერ შეეჩვენებინა მათი წმინდანი იოანე მეოთხე და მოეხსნა ქრისტიანობისათვის მისი წყევლა? გაიხსენთ, როგორ დაწყევლა ქართველი ერი რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის შემდეგ რუსმა ეგზარქოსმა, ხოლო როცა იგი გარდაიცვალა, მისმა შემცვლელმა ეგზარქოსმა, უპირველესად, ეს წყევლა მოხსნა. სომხები კი 16 საუკუნეა წმინდანად აღიარებენ კათოლიკოს იოანეს და მის წყევლას ეჩმიაძინი არ აუქმებს. მხოლოდ ამ ანათემის მოხსნის შემდეგ შეიძლებოდა გვერწმუნა მათი გულწრფელობისა, მაგრამ, სომხებმა ჩვენზე კარგად იციან, რომ ეს არასოდეს მოხდება.

ხედავდნენ რა, რომ ყოველივე ეს მართლმადიდებელთა თვალში სომხურ ეკლესიას შეურაცხყოფდა, მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი, მოგვიანებით კი ხსენებული იოსები და კათოლიკოსი ნერსესი სომხური მონოფიზიტობის მიჩქმალვას ცდილობდნენ.

სომეხთა ამგვარ მაქინაციებს ნათელს ჰფენდა ციმბირის სასულიერო აკადემიის პროფესორი ტროიცკი 1877 წელს გამოცემულ ნაშრომში **“სომხური ეკლესიის რწმენის შინაარსი”** და ანისკინი **“სომხური ეკლესიის ისტორიაში”**, რომელიც 1900 წელს გამოიცა წიგნად კიშინიოვში.

სომხური **“მართლმადიდებლობის”** მყვირალა ფენომენზე ასეთი ნიშანდობლივი ფაქტიც მეტყველებს. მე-19 საუკუნის საქართველოში, ერთ-ერთი შობის წინა დღეში თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელთა ჯგუფმა გადაწყვიტა ქალაქის ხელმოკლე ოჯახის შვილებისათვის ნაძვის ხის ზეიმი მოეწყო. ერთ-ერთმა სომეხმა სოვდაგარმა შემოწირულობის გაღებაზე უარი განაცხადა, მისმა მხარდამჭერმა ერთ-ერთმა ***“შწერალმა”*** კი ასეთი შინაარსის წერილი გამოაქვეყნა: ***“ღარიბებისთვის ნაძვის ხის ზეიმი კეთილი ქრისტიანული განზრახვითაა ნაკარნახევი, მაგრამ, ეს ხომ ფულის უაზროდ ფანტვაა. ამას სჯობდა, რომ ნაძვის ხე გაგვეყიდა და ფული ღარიბებისათვის დაგვერიგებინა. ქრისტეც ხომ ამას ქადაგებდა”.***

ამ სომეხმა მწერალმა, მისდა უნებლიედ (ან იქნებ შეგნებულადაც) იესო ქრისტეს მიაწერა იუდას ეს საძრახისი სიტყვები. სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა ტფილისში გამოთქმა – ***“იუდას სომხური მორალი”***.

ეჩმიაძინის მყარ რელიგიურ მრწამსზე კი მეტყველებს ისიც, რომ დაახლოებით ასორმოცდაათი წლის წინათ ეჩმიაძინის ერთ-ერთ სავანეში გამოაშკარავდნენ იქ მოკალათებული ყალბი რუსული ფულის ნიშნის მჭრელები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ***ეს ეკლესია გარკვეული დროის განმავლობაში ყალბ ფულისმჭრელთა თავშესაფარი იყო***.

ისტორიკოსი მკვლევარები არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ ***ეჩმიაძინი მათზე უფრო პოლიტიკური ცენტრის შთაბეჭდილება ტოვებდა, ვიდრე რელიგიურისა***. თანამედროვეთა გადმოცემით, იმ დროის მისი უწმინდესობა კათალიკოსი პატივსაცემი ბერი გახლდათ, რომელიც ალერსით იღებდა უცხოელებს; ***მას ძალზე დახვეწილი, დიპლომატიური აზროვნება გააჩნია; ამბობენ, რომ თავის ქადაგებაში იგი ხშირად იყენებს ქარაგმებს...***” – აღნიშნავდნენ ეჩმიაძინში სტუმრად ჩასული უცხოელი სწავლულები.

სომხური თქმულებების საწინააღმდეგოდ, რომელიც ეჩმიაძინს მე-4 საუკუნის ძეგლად მიიჩნევს, არქეოლოგიური ნიშნებით, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი დე-ბაი მას მე-15 საუკუნის ძეგლად მიიჩნევდა, ხოლო კედლის წარწერებს სპარსული ხელოვნების სახეცვლილებად აღიარებდა.

აქ დავანებულ **“უძველეს “**საგნებს იგი მეტად სკეპტიკურად ეკიდებოდა: **“საეკლესიო სალაროში შენახულ რელიქვიათა, მათ შორის “წმინდა ასლების” სიძველე სადაო გახადა ამ დარგში ჩემზე ბევრად კომპეტენტურმა მეცნიერმა. იმდენად, რამდენადაც, სამწუხაროდ, მონასტრის არქივი გაუჩინარდა, აღარ არსებობს რაიმე ცნობები მის საგანძურში მოგროვილ საგნებზე. ნაკლებად არიან დაინტერესებული მონასტრის კედლებში არქეოლოგიური, ისტორიული და მხატვრული სამუშაოების ჩატარებით; დღის წესრიგში მხოლოდ დღევანდელობა და მომდინარე საკითხებია. ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აქ სახეზეა ინგლისისადმი დიდი სიმპათიის კერა, ოდნავაც არ სცდებიან. ყოველი შემთხვევისათვის, ინგლისი ყოველგვარ საშუალებას იყენებს, რომ გამოიწვიოს ეს სიმპათია ადგილზე, აზიური თურქეთის ახლო ტერიტორიაზე...”**.

სწორედ ეს დაურიდებელი სიყალბეები აყენებდა და აყენებს ზიანს სომეხთა სულიერი განვითარების საქმეს და, რაღა თქმა უნდა, თვით ადრეული პერიოდის თუ დღევანდელი კათალიკოსისა და სხვა იერარქიების ზნეობრივ პრესტიჟს...

რამდენიმე წარსული წლის განმავლობაში ქართული საზოგადოების ნაწილი აშკარად გაიხლართა სომხურ ინტრიგებში, რომლის ძირითადი მიზანი გახლავთ კავკასიის მრავალტომიან მოსახლეობას შორის შფოთის თესვა და “ხელსაყრელ შემთხვევაში” (მაგალითად, რუსეთის ჩათრევისას ჩვენთვის არახელსაყრელ ომში) სომხეთის მითიური სამეფოს აღდგენა ამიერკავკასიაში რუსეთის სამფლობელოთა ნანგრევებზე. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა აფხაზეთის მოვლენებში, სადაც სომხური ავადსახსენებელი **“ბაგრამიანის ბატალიონის”** წევრები განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავდნენ ქართულ მშვიდობიან მოსახლეობას. ამრიგად, სომხეთის უახლეს ისტორიაშიც მოიძევება ისეთი ფაქტები, რომელთა გამომზიურება უახლოესი 50 წლის განმავლობაში მიზანშეწონილი არ არის.

ასევე საინტერესოა ტერტერას მოსაზრება ხატებთან დაკავშირებით, როცა იგი აღნიშნავს, რომ: **“სომხური ეკლესია არ იზიარებს ხატმებრძოლობას, ჩვენ პატივს მივაგებთ წმინდანთა ხატებს რანგების მიხედვით. ვეთაყვანებით წმინდა ჯვარს და ქრისტეს ტანჯვა-წამების გამომხატველ ფერწერულ** (დააკვირდით მკითხველო: **“ფერწერულ”** და არა **“ხატწერულ”** ნიმუშებს – **რ.ჯ.**) **ნამუშევრებს, რომელთა კურთხევის მერე მღვდელი მათ მირონს სცხებს და საკურთხეველზე ათავსებს”.**

ეს სიტყვები ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების ერთ ფრაგმენტს მახსენებს, როცა შავნაბადის ეკლესიაში ასული რედაქტორი ბაჩანა კედელზე გამოსახული გადაფხეკილ-გადაკაწრული (უეჭველია – სომხების მიერ) ხატის გვერდით ალბათ ვინმე ურწმუნო (ათეისტი) კომკავშირელის მიერ მიწერილ მკრეხელურ ტექსტს წაიკითხავს:

უცხვირპირო და უთვალო,
როგორ გიწამო უფალო!

თუმცა, ამ მჯღაბნელისათვის იქვე გაუცია პასუხი ვიღაც მორწმუნეს (თეოლოგს):

კომკავშირელო, თუ არ გწამს,
სახარება და ღმერთიო,
ამ სიმაღლეზე მეორედ,
გთხოვ აღარ ამოეთრიო...

ეს ის შავნაბადას ქართული ეკლესია გახლავთ, რომლის კედელშიც, იქ **“ათრეულმა”** სომხებმა რაღაც გაურკვეველწარწერებიანი ქვები შეტენეს და შემდეგ ყველას უმტკიცებდნენ, რომ იგი ისტორიულად სომხური რელიგიური ძეგლიაო!

ესეც შენი სომხური **“ჭეშმარიტი”** ქრისტიანობა!

საინტერესოა, როდის იყო, რომ არაქრისტიანები ქრისტიანულ სალოცავებს აგებდნენ?

აქ უნდა დავსვათ წერტილი, რადგან ყველა იმ სიცრუის, მზაკვრობისა და სივერაგის ჩამოთვლას, რასაც სომეხი საეკლესიო პირები კადრულობენ თავიანთი მონოფიზიტიზმის მისაჩქმალად, ერთი წიგნიც კი არ ეყოფა, რაც აღნიშნული გვაქვს კიდეც ჩვენს საკმაოდ დიდ წიგნში **“ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე”.**

ისე, ურიგო არ იქნებოდა, რომ თვით გაზეთ **“ასავალ-დასავალსაც”** გაეკეთებინა თუნდაც მცირეოდენი კომენტარი და მკითხველისათვის რელიგიურ სიმართლედ არ შეეჩეჩებინა ვიღაც გადამთიელი ტერტერას სრულიად გაუგებარი და შეგნებულად ბურუსით მოსილი ნაბჟუტურალი ქრისტიანული მრწამსისადმი სომეხთა **“განუმეორებელი”**, თავისებური ერთგულებისა და სიყვარულის თაობაზე.

არ არსებობს ნახევრად ქრისტიანი, ისევე, როგორც არ არსებობს ნახევრად მორწმუნე.

ქრისტიანი მართლმადიდებელი ან ხარ, ან არ ხარ!

სწორედ ამიტომ ვამტკიცებთ მე და ბატონი დავით ქობალია ჩვენს ერთობლივ ნამუშევრებში, რომ სომხების ადგილი არ არის ქრისტეს საფლავთან და იქ მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლები უნდა იდგნენ, რომელთათვისაც ისტორიულად ყოველთვის ერთმანეთისაგან განუყოფლად იყო შეზრდილი ორი სანუკვარი მცნება – **“ქართველობა”** და **“ქრისტიანობა”**.

ამიტომ, გვინდა იცოდეთ ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, რომ ჩვენ ბრმა სიძულვილი არ გვამოძრავებს, როცა დაუნდობელ ბრძოლას ვუცხადებთ საქართველოში **“თავისუფლების ინსტიტუტის”** სატანისტთა და ესოდენ მოძალებულ უჯიშოთა სექტების მიერ გამოცხადებულ დაუნდობელ ბრძოლას ქრისტიანული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.

თქვენ უნდა იცოდეთ ისიც, რომ დედით (გვარად – **გიტლინგი**) ებრაელი ედუარდ შევარდნაძე და მამით (გვარად – სააკოვი) სომეხი მიხეილ სააკაშვილი სულაც არ გრძნობენ სინდისის ქენჯნას, როცა მთელი ძალებით ილაშქრებენ ჩვენი სარწმუნეობის წინააღმდეგ.

ჩვენი სახით ისინი ერთგვარი სიამოვნებითაც კი ებრძვიან მათ დაუძინებელ მტერს – ქრისტიანულ მართლმადიდებლობას!

თუ ეს ყოველ ქართველს ეცოდინება, მაშინ მტერი ვერაფერს დაგვაკლებს!

როლანდ ჯალაღანია,
“ფაზისის” აკადემიის
ნამდვილი წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთარია – კოლხური მითოლოგიის გმირი

ხალხი შემთხვევით არაფერს ქმნის. თავისი მასაზრდოებელი ფესვები გააჩნია ყოველ ზღაპარს, ლექსს, სიმღერასა თუ ცეკვა-სანახაობას. ჩვენი განხილვის საგანია **"ჯამსულო"**, კოლხური ფოლკლორის მშვენება.

ლექსი პირველად გამოაქვეყნა ცნობილმა ფოლკლორისტმა და ეთნოგრაფმა კალისტრატე სამუშიამ მის მიერვე შედგენილ და გამოცემულ კრებულში **"ქართული ხალხური პოეზიის მასალები"**, მეგრული ნიმუშები, 1971 წ. ამ კრებულში **"ჯამსულო"** (ნაბეჭდ ტექსტებში ყველგან მოიხსენიება როგორც **"ჯანსულო"**, რაც არასწორი ფორმაა, მაგრამ ამაზე ქვემოთ) წარმოდგენილია ორ ვარიანტად: № 87 და № 88, რომლებსაც განხილვისას **"ა"** და **"ბ"** ვარიანტად მოვიხსენიებთ. **"ა"** ვარიანტს სათაურად აქვს **"ჯანსულო"**, რომლის ქვემოთ, ფრჩხილებში, აღნიშნულია **"სახუმარო საცეკვაო"**, ხოლო **"ბ"** უშუალოდ ვარიანტად მოიხსენიება. შემდგენელ-გამომცემელს ძირითად ტექტად **"ა"** ვარიანტი მიაჩნია. მის ავტორმოქმელად დასახელებულია ბ. სართანია, ჩამწერად – კ. სამუშია (1961 წ.). **"ბ"** ვარიანტის მოქმელი გახლავთ სპირიდონ კვარაცხელია, ავტორმოქმელად დასახელებულია იონა სართანია. ჩამწერი და ჩაწერის დრო არაა მითითებული. **"ქართული ხალხური სიტყვიერების"** I ტომში (**"მეგრული ტექსტები"** , 1975 წ.) წარმოდგენილია **"ჯამსულოს"** მესამე ვარიანტი (გვ. 20, № 35), მოქმელი თ. ჯიქია, ჩამწერი ნ. სიჭინავა, სოფ. ჭაქვინჯი, ზუგდიდის რაიონი, 1971 წ. აგვისტო. ამავე ტომში გამოქვეყნებულია კ. სამუშიას კრებულიდან გადმობეჭდილი **"ა"** და **"ბ"** ვარიანტებიც (გვ. 173 და გვ. 407).

მეოთხე ვარიანტის (გამოუქვეყნებლის) მოქმელია ჯათუ ხუხუა (1852 – 1940 წ.წ. მარტვილის რაიონი, სოფ. კიწია), რომლისგანაც იგი ბავშვობაში უსწავლია ცნობილ ლოტბარსა და კომპოზიტორს, მრავალი ძველი სიმღერის აღმდგენელსა და 100-ზე მეტი საკუთარი სიმღერის ავტორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ტრიფონ ხუხუას, მამაჩემს (1911 – 1975 წ.წ.). მისი დამოწმებით, ეს მომხდარა დაახლოებით 1918 წლამდე. ჯათუ ხუხუა, სახელგანთქმული ქვითხურო, ერთ დროს ხალხის რჩეული – სოფლის მამასახლისი, მგალობელი და სახალხო მოქმელი გახლდათ. ჯათუსეული ვარიანტი (ასე მოვიხსენიებ მას), ჩემი დაკვირვებით, უფრო გავრცელებული ჩანს ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონების სოფლებში (ნიმუშები ჩაწერილი მაქვს). რადგანაც მას ვთვლი ერთერთ ყველაზე არქაულ ნიმუშად, რომელსაც შედარებით უცვლელად შეუნარჩუნებია უძველესი ფენა, წარმოვადგენ მთლიანად ჩემივე პირდაპირი თარგმნით (სხვა შემთხვევაში შენარჩუნებულია კრებულში გამოქვეყნებული ტექსტების თარგმანები):

"აკა შარა ქომუჩით,
მინდორს მოკო ფიორია,
ხასილას ლეკური მოჭკადილი,
ქარქაშისუ ხიორია.
ხეს ტაბაჩა მოველირი,
რკინა გოხოლ ხირიმიში,
ქუგო„ოთიდა, ვადგოჩირთუ,
გიღუდანი ჩქიმი შიში.
ვარა ყამას დეკვირითუ,
ოდგიშიშა ქუგუ წვანჯი,
ცას, ქამგგოტურინუანქ,
მიში კოჩირექ, მიში ჭანჯი?
„ათაქ მურე გეფახუნი?
ქუდი რე დო ბოხოხია?
შორიშე ქობჯოგუდი, ვარა
აშო მუშა მოხოხია!
მუჭო კიბირი უძგიძგანს!
ხოლო აშო მიძიცანს!
მუჭო თოლემს უფაფუანს,
ყამას ქუვორჩიფაფუანქ!
მუჭო პის, ურგინუანს,
დუღას ქალუოქურქინუანქ!
ნანა, ნანა, ჩქიმი ცოდა!
დაჩხირს ჭვილი ჩქიმი ოდა!
სო იბდა დო სო იბტყობა!
ობჭკომუნსო, ჯიმალეფი,
ობჭკომუნს და ობჭკომას,
ხოლო ქოუნს ჩქიმ მუმას!
ასე ოკო დოპილე!
დოპილი დო გუათე!
აბა, მა მუ გიჩქუდით,
ფალავანი ქუთარია?
ტოტმანგარი, გურმანგარი,
შელებური, ქურცამია!"

"აბა, ერთი გზა მომეცით,
მინდვრად მინდა ჩამოქროლვა,
გვერდზე ხმალი მოჭედილი,
ქარქაშს ჩახრიალებული.
ხელთ დამბაჩა მოელვარე,
რკინა გახლავთ ყირიმული,
თუ გესროლე, არ აგცდება,
უნდა გქონდეთ ჩემი შიში.
ან სატევარს დააკვირდით,
სადგისისთვის უგავს წვერი,
ცაზე აგაგდებ ტრიალ-ტრიალით,
ვისი კაცია, ვისი მწერი!
(კაციც და მწერიც ერთია ჩემთვის)
აქ რაღაა, ჩამხობილა,
ქუდია თუ ბოხოხი?
შორიდან მძაგდი, თორემ
აქეთ რისთვის მოხოხდი?
კბილი როგორ დაუკრიჭავს!
კიდევ აქეთ მიცინის!
თვალებს როგორ აფახულებს,
სატევარს ვაძგერებ!
პირს როგორ აგრიალებს (ახრამუნებს),
მდუღარეს ჩავაპირქვავებ!
ნანა, ნანა, ჩემი ცოდვა!
ცეცხლში დაიწვას ჩემი ოდა!
სად წავიდე და სად დავიმალო?
თუ შემჭამს, ძმებო?
თუკი შემჭამს, შემჭამოს,
კიდევ ჰყავს მამაჩემს!
ახლა უნდა დავკლა!
დავკალ და გავათავე!
აბა მე თქვენ რა გეგონეთ,
ფალავანი ქუთარია?
მკლავმაგარი, გულმაგარი,
ღონიერი ქუსლიანი!
(შემძლე ქუსლიანი)!"

ჩემს მიერ წარმოდგენილსა და გამოქვეყნებულ ტექსტებს აქვთ საერთო, მეტნაკლებად დამახასიათებელი ნაწილი და აქვთ განსხვავებულიც, აშკარად დაშორებული. ზოგჯერ საგულვებელია ძველი შრე, ზოგჯერ ძნელი გასარკვევია. კ. სამუშიას მიერ ჩაწერილ ვარიანტებს ჰყავთ ავტორები, მაგრამ ვთვლით, რომ ისინი ეყრდნობიან უძველესი დროიდან მომდინარე ლექსებს, თქმულებებს, გადმოცემებს, რომლებშიც შექებულია დევებთან, ოჩოკოჩებთან, ჭინკებთან, ალქაჯებთან მებრძოლი ვაჟკაცი ქუთარია და ამის შესაბამისად ქმნიდნენ საკუთარ ნაწარმოებთ, ეჯიბრებოდნენ უცნობ, პოპულარულ მელექსეს, თანაც უცვლელად ტოვებდნენ უმთავრეს თემას – ბრძოლას ეშმაკეულთან, ბოროტ, ზღაპრულ არსებებთან, თავგანწირვას ხალხისთვის, სიკეთისთვის. უცვლელი რჩებოდა მთავარი მებრძოლი გმირი ქუთარია და მისადმი თანამემამულეთა თანადგომა, ერთადერთი სიტყვით – **"ჯამსულოთი"** გამოხატული.

"ჯათუსეულთან" ახლოსაა კ. სამუშიას მიერ 1961 წელს ჩაწერილი **"ა"** ვარიანტი (იხ. კ. სამუშია, დას. კრებული გვ. 95 – 96, №87). პირველი სტროფი ერთნაირია, მომდევნოში კი ფალავანი ქუთარია ასახელებს თავისთავს:

„ფალანდის მიძახუნა,
მა გოხოლუთ ქუთარია–
ხემანგარი, ქურსმანგარი,
სხაპუა მიჩქ, „ბუქნარია".
"ფალავანსა მეძახიან,
მე გახლავართ ქუთარია–
ხელმაგარი, ქუსლმაგარი,
ცეკვა ვიცი "ბუქნარია".

პირველ სამ სტრიქონში უძველესი ფენა იგრძნობა. **"ფალანდი"** ფალავნადაა თარგმნილი, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. **"ფულანდი"** ფოლადს ნიშნავს (გ. ელიავა, "მეგრულ – ქართული ლექსიკონი"). **"ფულანდი"** და **"ფალანდი"** პარალელურ ფორმებად მიმაჩნია. **"ხემანგარი", "ქურსმანგარი"** იგივეა, რაც **"ტოტმანგარი, ქურცამია". "სხაპუა მიჩქ "ბუქნარია"** შემდგომი დროის დამატებაა, რადგანაც აშკარაა, რომ იგი მინდვრად საცეკვაოდ როდი გამოსულა ხმალ-ხანჯლიანი და დამბაჩიანი. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ დევგმირის მინდვრად შემოვარდნა ბუქსაც აშლიდა. **"ბუქნარი"** ისეთივე წარმოების სიტყვაა, როგორიცაა **"ბუჩქნარი"**, რაც მრავალი ბუჩქისგან შემდგარ ადგილს ჰქვია საერთოდ. დევგმირის მინდვრად შემოჭრა ბევრგან აშლიდა მიწას, მით უფრო მშრალს, საცეკვაო, მით უფრო საბრძოლო (გადატანითი მნიშვნელობით) მოედანს. **"ბუქნარი" და "ბუჩქნარი"** ქართულია, ამდენად, აშკარაა ქართულის გავლენა, სტრიქონი – **"ხეს ტაბაჩა მოველირი, რკინა გოხოლ ხირიმიში"**, შედარებით ახალია, მაგრამ ვერც მე-20 საუკუნეს მივაკუთვნებთ (გნებავთ, მე-19 საუკუნესაც), რადგანაც ამ დროისათვის იგი უკვე არაა პოპულარული იარაღი. ახალმა ეპოქამ შვა თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღები და სახალხო მთქმელიც მიჰყვება დროის მდინარებას, რათა მსმენელზე მეტი გავლენა მოიპოვოს, მეტი ზეგავლენა მოახდინოს. ძველ ზღაპრებში ჩნდება **"ბრაუნინგი", "ვინტოვკა"**, რუსიციზმები. ეს ნათლადაა ასახული **"ქართული ხალხური სიტყვიერების"** II ტომში (მეგრული ტექსტები, 1991)

"ჯათუსეული" და "ა" ვარიანტებისთვის საერთოა შემდეგი სტროფიც, რომელიც აგრეთვე უძველესი ფენის შემცველად მიგვაჩნია:

„ვარა ყამას დეკვირით, ,
ოდგიშიშა ქუგუ წვანჯი,
ართი მორქიათ გოვკვათუნქ,
კოჩი ორდას დო გოკონი ჭანჯი"
"ანდა ხანჯალს დააკვირდით,
სადგისისთვის უგავს წვერი,
ერთი მოქნევით შუა გავკვეთ,
კაცი იყოს, თუნდა მწერი".
("ა" ვარიანტი).

ასევე, უძველეს ფენას უნდა განეკუთვნებოდეს **"ა"** ვარიანტის შემდეგი სტროფებიც, რომელნიც არ არიან **"ჯათუსეულში"**:

„ხვალე ართი მიწონებუ
თე ქიანას ჩქიმი გერე,
ირკოჩი შიშის მიოღურუ,
არძა ქულა, არძა „ვერე.
ღუმა კოჩი ქომომიჩქუ,
ამსერი ოკო მორთასუნი,
ქოდობხვად, ქ ქომოლურო,
ვავ„ოფირე დორთასუნი.
ათენა ვარდას ეთი კოჩი,
ტყაში კოჩი დო ოჩოკოჩი".
"მხოლოდ ერთი მეგულება
ამქვეყნად ჩემი მჯობი,
ყველა მისი შიშით მისიკვდილებულია,
ყველა კოჭლი და ყველა ბრმა.
წუხელ კაცი მომიგზავნა,
ამდამ უნდა მოვიდეს,
დავუხვდები ვაჟკაცურად,
დაბრუნებას არ ვაღირსებ.
აი, ეს არ იყოს იგი კაცი,
ტყისკაცი და "ოჩოკოჩი"

ამ სტრიქონებში ჩანს, რომ დევგმირ, ფალავან ქუთარიას მხოლოდ ერთიღა ეგულება მისი მჯობი თუ ტოლი (უფრო მართებული იქნებოდა ასე გვეთარგმნა: **"მხოლოდ ერთი მეგულება ამქვეყნად ჩემი შემომბედი")**, მაგრამ აშკარაა, არც მისი ეშინია ფოლადივით ვაჟკაცს. მისით ან მისგან მხოლოდ ბრმები და კოჭლები არიან მისიკვდილებულნი (დამფთხალ-დაშინებულნი). ქუთარია არ ამბობს, მაგრამ ნათელია, რომ იგი არც ბრმაა, არც კოჭლი და არც ავსულისგან დაშინებული.

ქუთარია, როგორც ვხედავთ, გვარწმუნებს, რომ მტერი ჩვეულებრივი კაცი როდია, არამედ ტყისკაცია და **"ოჩოკოჩი"**, ეშმაკეული, ვისაც იგი მიაჩნია ერთადერთ მოწინააღმდეგედ. ამიტომაც გამოუწვევია საბრძოლველად (**"წუხელ კაცი მომიგზავნაო"**, ამბობს ვაჟკაცი), რათა გამარჯვებულმა ხალხზე იბატონოს, ადამიანები დაიმორჩილოს, მრევლი გაიმრავლოს და ნება-ნება, სათითაოდ შეჭამოს, როგორც ქართულ ზღაპრებშია საერთოდ. ქვეტექსტით იცნობა, რომ ტყისკაცს, **"ოჩოკოჩს"**, ვიღაც უნდა შეეჭამა, ალბათ ხალხისგან გაღებული შესაწირავი, ახალი მსხვერპლი, მაგრამ ქუთარიამ არ დაანება და, აჰა, დგება მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დრო:

„ნანა მუ თოლც ელარზანც!
დუს გიორთუ ბოხოხია!
ვაი, სქანიშენი, ქუთარია!
მუს გოხვარუ ბობოხია."
"დედა, რა თვალს აბრიალებს,
თავზე ხურავს ფაფახი!
ვაი, შენს თავს, ქუთარია!
რას გიშველის ტრაბახი!".
("ა" ვარიანტი)

"ბობოხი" ტრაბახი არ არის, უფრო დიდგულობას, ქედმაღლობას, სიამაყეს ნიშნავს, მაგრამ შეგნებულად დავტოვეთ გამოქვეყნებული თარგმანი.

შემდგომი სტრიქონები შინაარსითა და სიტყვიერი მასალით მეტნაკლებად საერთოა ორივე ვარიანტისთვის:

„ვადომტენს და ობჭკუმას,
ხოლო ქო„უნს ჩქიმ მუმას!
გივაშკვი დო დუდი მეცალი,
ზისხირი მეურსუ ღვარია."
"თუ შემჭამს და არ დამარჩენს,
შვილი კიდევ ჰყავს მამაჩემს!
დავკარ და თავი წავაჭერ (წავთიბე),
სისხლის ღვარი წავიდა!"
("ა" ვარიანტი)

ყველაფერი ნათელია. ქუთარიამ ბოროტეული მოსპო, მაგრამ მოკლა არა დამბაჩით, რომლითაც უფრო იყო მოსალოდნელი, რადგანაც გამარჯვებაში დაეჭვებულია, არამედ სატევრით, უძველესი ტრადიციული იარაღით, რითაც იბრძოდა მისი წინაპარი ათასობით წლის მანძილზე. აი, ესაა ამ სტრიქონების პირველადობის, არქაული ფენის ერთერთი სანდო დამამტკიცებელი. სატევარი (ყამა, ხანჯალი) არის ორთაბრძოლის უპირველესი იარაღი უძველესი დროიდან მოყოლებული და, დამბაჩის უპირატესობის მიუხედავად, იგი პირველქმნილი იარაღით იბრძვის, ხალხურ აზროვნებაში დამკვიდრებული პირველადი ლითონის იარაღით. შევნიშნავთ, ბოროტ არსებათ, ეშმაკეულთ, იარაღი საერთოდ არ გააჩნიათ, მათ ეს არ სჭირდებათ. ისინი თავიანთი მაქციობით, სულითა და ფიზიკური ძალით არიან უძლეველნი. ფალავანი ქუთარია ტყისკაცისა თუ **"ოჩოკოჩისგან"** დამარცხებას კი არა, შეჭმას ელის, მაგრამ არ შემდრკალა მაინც, ჯერ ერთი იმიტომ, რომ **"სხვა შვილიც ჰყავს"** მამამისს, ალბათ მასზე არანაკლები ვაჟკაცი და მეორეც – ხალხს არ ეღალატება, ბოროტებას უნდა აღუდგე სიცოცხლის ფასადაც. ქუთარია დარწმუნებულია, რომ თუ დაიღუპა, ძმა იძიებს შურს და ეს აფოლადებს.

ომარ ხუხუა,
"ფაზისის" აკადემიის
ნამდვილი წევრი

აღიარება აუცილებლად მოვა...

წარმოგიდგენთ ქართველი მამულიშვილისა და თავისი კუთხის ღირსეული შვილის ბატონ მურთაზ ჯანჯღავას წიგნს "მეგრული ენის ფენომენი". წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა, აფხაზეთის მეცნიერებათა და ფაზისის აკადემიების აკადემიკოსი, გიორგი ლეონიძის პრემიის ლაურეატი ჯემალ ჯინჯიხაძე. ავტორი დიდ მადლობას უძღვნის წიგნის გამოცემაში გაწეული გარკვეული ფინანსური დახმარებისათვის საქართველოს პარლამენტის წევრს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას.

გაზეთ **"ილორის"** მკითხველებს ვთავაზობთ ამონარიდებს აღნიშნული წიგნიდან.

მეგრული სიტყვების ფუძეებში თანხმოვან ბგერათა ისეთ სტრუქტურულ თავმოყრას აქვს ადგილი, რომ ხმოვან ბგერების მონაცვლეობით მათგან მიიღება ადამიანთა ტიპების გარეგანი სახის აღმწერი ეპითეტები, ხმის ტემბრები, სიარულის, დაჯდომის, დაწოლის, მიტანმოტანის, დავარდნის და სხვა საქმიანობის გამომხატველი სიტყვები. ხმის ტემბრები კი ადამიანთა გარეგან სახესთან კავშირში არ არიან რადგან მათ სულ სხვა ხმის ტემბრები აქვთ. მაგრამ აუარებელ ხმის ტემბრებს გამოხატავენ აღნიშნული სტრუქტურული აგებულების სიტყვები ბგერათა მონაცვლეობით. ამ სიტყვათა ფონემურ-სტრუქტურული აგებულება უნივერსალურია. მეგრულ სიტყვებში გვაქვს ბგერათა ზომა-წონის, იერ-ფერის ხმის ტემბრის საოცარი ზუსტი შინაარსობრივ-ინფორმაციული ფუნქციური გამოვლინება. უზენაესი შემოქმედის გენიის ხელით არის მეგრულ სიტყვებში ბგერები ინტონირებული. ეს მეგრული ენის საოცარი ბუნებაა.

მეგრულ ენას განუმეორებელი თავისებურებები ახასიათებს, ადამიანთა ფიზიკური ტიპების აღმწერ ეპითეტებს ფუძეებში რიგით მეორე, მესამე თუ მეოთხე ადგილზე მჯდომი **"ი"** შევუცვალეთ **"ა"** ბგერით. მივიღებთ ორი გაგების სახელზმნას: პირველი იქნება ამ ფიზიკური ტიპის სიარულის, დაჯდომის, დაწოლის და სხვა მრავალ მოქმედებათა გამოხატვა სათანადო ზმნისწინების დართვით, მეორე შემთხვევაში ამ სახელზმნის გამოხატულება იქნება გარკვეული ხმის ტემბრის ლაპარაკის ასახვა, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში. მეგრულ სიტყვებში პირდაპირ მკაფიოდ იხატება ბგერათა ინფორმაციულ-შინაარსობრივი ფუნქციური როლი. მოვიყვანთ რამდენიმე ფიზიკური ტიპის ბავშვის აღმწერ ეპითეტებს. თუმცა ეს ეპითეტები ვრცელდება იმ ზრდასრულებზედაც, რომლებიც ფიზიკურად პატარა ტანისანი არიან. დავაკვირდეთ ბგერთა ცვლით როგორ იცვლება ფიზიკური ტიპიც. ცალკეული ბგერები მეტყველებენ თავის სახის ჩვენებით. მაგალითად: "ციქვალი" – არის პატარა, კოხტა თრითინასებური ბავშვი. გარეგანი შეხედულების გამომხატველი სახელზმნა იქნება "ციქვინი". ციქვალი ტიპის სიარულია "ცაქვალი", "ციქვალი მაცაქვანც" – პატარა კოხტა თრითინასებური ბავშვი მოდის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა მოქმედებისთვისაც ეს სახელზმნა მიუდგება სათანადო ზმნისწინებით. შემდეგ შემთხვევებში, სიარულის ასახვის გარდა, სხვა მოქმედებებს. აღარ შეგახსენებთ – ეს იყო "ცაქვალის" პირველი შინაარსობრივი გაგება. მეორე გაგებით "ცაქვალი" ნიშნავს ბავშვის გარკვეული თავისებური ხმის ტემბრით ლაპარაკს. "ბაღანა ცაქვალანც" – ბავშვი ლაპარაკობს გარკვეული თავისებური ხმის ტემბრით. სიტყვა "ციღვალი" აღნიშნავს, რომ ესეც პატარა, მაგრამ მეტი ტანსრული, ხორციანია. გარეგნული შეხედულების ამსახველი სახელზმნა იქნება "ციღვინი," "ციღვალის" გამოხედვა აწმყო დროში გამოიხატება ზმნით "ოციღვინანც". "ციქვალი" კი "ოციქვინანც". "ციღვალის" სიარული იქნება "ცაღვალი". "ციღვალი მაცაღვანც" – პატარა ბავშვი, რომელიც ტანსრულია, მოდის. მოცემული სიარულის ამსახველი ზმნების თარგმნა პირდაპირ შეუძლებელია. ცაღვალი მეორე გაგებით ბავშვის გარკვეული თავისებური თავისებური ტემბრით ლაპარაკია. "ბაღანა ცაღვალანც" – ბავშვი ლაპარაკობს გარკვეული თავისებური ხმის ტემბრით.

ახლა ავიღოთ სიტყვა "ციხვალი," რომელიც აჩვენებს, რომ ბავშვი ჯოხივით გამხდარია. სახელზმნაში იქნება "ციხვინი", ხოლო აწმყო დროში ზმნაში "ოციხვინანც". ფიზიკურად გამოიყურება ასე და ასე. ციხვალის სიარული იქნება "ცახვალი, ციხვალი მაცხავანც". მეორე გაგებით "ცახვალი" არის ბავშვის გარკვეული თავისებური ხმის ტემბრით ლაპარაკი. "ბათა ცახვალანც" – ბათა ლაპარაკობს ასეთი და ასეთი ხმის ტემბრით, ყველა ხმას, რომელსაც ჩვენ შემდგომშიც მოვიყვანთ, აღწერა შეუძლებელია. ეს ხმები იშვიათი ხმებია და მაგნიტოჩანაწერების მეშვეობით შეიძლება მისი თავმოყრა და მოსმენა. ავიღოთ სიტყვა "ციყვალი," რომელიც აღნიშნავს პატარა ბავშვს ან ზრდასრულს, რომელიც პატარა და გამხდარი სხეულის მქონეა. "ციყვალის" გარეგნული შეხედულების ამსახველი სახელზმნაა "ციყვინი", ხოლო ზმნა მესამე პირში, "ოციყვინანც", აღნიშნავს, რომ ეს პირი პატარა და წვრილი სხეულის მქონეა. "ციყვალის" სიარული იქნება "ცაყვალი". "ციყვალი მაცაყვანს" – მოდის ზემოთ აღწერილი პირი. ციყვალის მეორე გაგება არის გარკვეული თავისებური ხმის ტემბრით ლაპარაკი, "ჩქიჩქე ცაყვალანც" – პატარა ბავშვი ლაპარაკობს გარკვეული თავისებური ხმით.

ჩვენს მიერ დასახელებული გარეგნობის ამსახველი სიტყვები "ციქვალი, ციღვალი, ციხვალი, ციყვალი" და საერთოდ ადამიანის გარეგნობის აღმწერი სიტყვები ითქმის ასეც: "ცექვერია, ცეღვერია, ცეხვერია, ცეყვერია, ძექვერია, ძეღვერია, ძეხვერია, ძეყვერია" და ასე შემდეგ.

ახლა ავიღოთ ოთხი ტიპის მამაკაცის გარეგნობის ამსახველი სიტყვები, რომლებსაც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე უკვე ძალიან მოკლედ განვიხილავთ. ესენია: "ძიქვალი", რომელიც არის დაბალი ტანის მამაკაცი უკანალი გაწეული და მუცელგამოწეული. "ძიქვალის" სიარულია "ძაქვალი". "ძაქვალი" გარკვეული თავისებური ხმის ტემბრით ლაპარაკიცაა. ავიღოთ "ძიყვალი", რომელიც არის დაბალი ტანის ულამაზო მამაკაცი, რომელიც მამალივით იყურება. "ძიყვალის" სიარულია "ძაყვალი". "ძაყვალი" გარკვეული ხმის ტემბრით ლაპარაკიცაა. ავიღოთ "ძიხვალი," რომელიც არის დაბალი და სქელი მამაკაცი, "ძიხვალის" სიარულია "ძახვალი". "ძახვალი" გარკვეული თავისებური ხმის ტემბრით ლაპარაკიცაა.

მეგრულ სიტყვებში ადგილი აქვს თანხმოვან ბგერათა ისეთ ზუსტ შერჩევა-შეწყობას, რომ მათში თანხმოვანი ბგერების მორიგეობით მონაცვლეობა და აგრეთვე ხმოვანი **ა** და **ი** ბგერის მონაცვლეობა სიტყვებს უნივერსალურს, ხოლო სიტყვათა ფონემურ სტრუქტურულ აგებულებას უნიკალურს ხდიან. სიტყვის ფუძეში თანხმოვანი ბგერის სხვა თანხმოვანი ბგერით შეცვლა ახალ აზრობრივ შინაარსს ქმნის სიტყვაში, ყოველი ბგერა თავის სამრეკლოდან რეკს ზარს. ბგერები სიტყვის ფუძეში პიროვნულკად მეტყველებენ. ბგერის მისტიკური საიდუმლო მეგრულ ენაში მჟღავნდება.

მურთაზ ჯანჯღავა

ფოთი – თავისუფალი ეკონომიკური თუ ფულის გათეთრების ზონა

ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის, კერძოდ, მისი ნაირსახეობის, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (თიზ) შექმნის შესახებ დოკუმენტს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გასულ წელს ფოთის პორტში, ღია ცის ქვეშ, ტრიუმფალურად მოაწერა ხელი და ახალი სლოგანი „ოქროს საწმისის ქალაქში ოქროს საწყისი დაიწყო" შემოგვთავაზა. მას შემდეგ სამუშაოები მხოლოდ ჭიანურდება და ყოვნდება. შესაბამისად ყოვნდება პრეზიდენტის მიერ ფოთელებისთვის დაპირებული 10 000 სამუშაო ადგილიც.

ფოთელებისთვის დაპირებულ სამუშაო ადგილებს რა პერსპექტივა ელის, ერთი მაგალითიდანაც ჩანს. კერძოდ, თიზის განვითარების პირველი ფაზა 2009 წელს შემოღობვითი სამუშაოებისა და ცენტრალური და მეორადი გზების მშენებლობის დასრულებას ითვალისწინებდა. დღეს კი რაც კეთდება, იმ სამუშაოებზეც კი ფოთელები კანტიკუნტად არიან დასაქმებულნი. **„ეტყობა, ნიჩბით მიწის სათხრელადაც არ ვვარგივართ ფოთელები და ამიტომ ამ სამუშაოებზეც კი სხვა ქალაქებიდან ჩამოჰყავთ მუშახელი"**, – შემოგვჩივლა სპეციალობით ინჟინერმა, 24 წლის უმუშევარმა გიორგიმ, რომელიც მზადაა, ნებისმიერი საქმე შეასრულოს, ოღონდ კი ოჯახში პურის ფული შეიტანოს.

რაც შეეხება უშუალოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგადად მათი მოქმედების პრინციპების გაცნობა.

თავისუფალი ეკონომიკური, იგივე ოფშორული, ზონები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს ზონები წარმოადგენს ხელსაყრელ წარმონაქმნებს, სადაც შესაძლებელია ზემოგების მიღება. იქ გამოყენებული ეკონომიკური წესები, ბერკეტები და სპეციალური ადმინისტრაციული კანონები ამსუბუქებენ სამართლებრივ და სამეურნეო რეჟიმს. საბაჟო, საინვესტიციო და საგადასახადო რეჟიმი ნებისმიერი საგარეო და შინა ინვესტიციებისთვის ხელსაყრელია და აქედან გამომდინარე, ოფშორული ზონები თავისებური მიმზიდველი **„ხაფანგია"** უცხოური კაპიტალდაბანდებებისთვის.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, თეზ-ში განლაგებული ობიექტები დროის რაღაც მონაკვეთში ბიუჯეტში გადასახადებს არ იხდიან.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიოს 120 ქვეყანაში მოქმედებდა 2000-ზე მეტი სხვადასხვა სახის თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელთა ჯამური წლიური ბრუნვა 60 მლრდ აშშ დოლარს აღემატებოდა.

ქართულ ეკონომიკაში მსგავსი პრაქტიკა და გამოცდილება არავის აქვს. ამ ინიციატივას თავის დროზე ზურაბ ჟვანია ლობირებდა, ის თეზის შემოღებას სწორედ ფოთის ნავსადგურში გეგმავდა და ამისთვის პრემიერს შესაბამისი ტერიტორიაც მიღებული ჰქონდა, მაგრამ მისი გარდაცვალებისა თუ ლიკვიდაციის შემდეგ ამ პროექტმა ჩაილურის წყალი დალია.

თუმცა მოგვიანებით, 2006 წლის მიწურულს, მიხეილ სააკაშვილმა ამ ინიციატივით ბიზნესმენებს ერთ-ერთ შეხვედრაზე განუცხადა: – **ფოთში საწარმოების დარეგისტრირება 15 წუთში მოხდება. დავები 1-2 საათში გაირჩევა. კანონის განხორციელება მყისიერი იქნება, ბიუროკრატია არ იარსებებს. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ექსპორტისა და მწარმოებლებისთვის იდეალური პირობები შეიქმნება და ამას ყველაფერს მომავალ წელს გავაკეთებთო.**

მართალია, დანაპირების შესრულება „მომავალ 2007" წელს ვერ მოხერხდა, მაგრამ **„მომავლის"** მომავალი, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გახსნამ არა მარტო ეკონომიკური, პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

მიუხედავად იმისა, რომ ფოთელებმა ნაკლებად იციან, რა სარგებლობა მოაქვს თიზს, მაინც იმედი აქვთ, რომ რაღაც შეიცვლება, ეს რაღაც კი არაბი შეიხების ეფემერულ ცხოვრებას თუ არა, ცოტა ნაკლებს მაინც გულისხმობს. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გახსნაზე სააკაშვილი მარტო ფოთელებს 10000 სამუშაო ადგილს, 200 მლნ დოლარის ინვესტიციას, 400 ახალ საწარმოსა და ცათამბჯენებს დაჰპირდა, რომ ადარაფერი ვთქვათ სიღარიბისგან თავისუფალ აჭარა-გურია, სამეგრელოსა და იმერეთზე.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ ყველაფერს უახლოეს 50 დღეში ვერ მოასწრებს და ამ პროექტის განხორციელებას 5 წელზე მეტი და ათწლეულები დასჭირდება. ვინ რამდენად დაიჯერა პრეზიდენტის **„გულწრფელობა"** უახლოეს არჩევნებში ბიულეტენებზე აისახება. არჩევნები იქით იყოს და, რაც შეეხება ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, ამიერიდან ყველაფერი იმ მოდელებზეა დამოკიდებული, რომლითაც უნდა განხორციელდეს ეს პროექტი. **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარლამენტში მომზადებულ კანონპროექტში „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საუბარია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის უგულებელყოფაზე. კანონპროექტის თანახმად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქცია, ხოლო სპეციალური ზონისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს (ეს კი მთლიანი ინვესტიციის თითქმის 80%-ს შეადგენს), ნათელი ხდება რა "ბრწყინვალე პერსპექტივა" ელის ფოთს.**

როგორც წესი, ინვესტორები „ცარიელ ადგილზე" არ მოდიან, როდესაც სააკაშვილი 200-მილიონდოლარიან ინვესტიციაზე საუბრობს, წარმოიდგინეთ, ამ დროს 80%-მდე წილობრივი მონაწილეობა ფოთის ბიუჯეტისთვის რამხელა ტვირთი იქნება.

ამას გარდა, ექსპერტების აზრით, მსგავს ზონებში მუშახელის ექსპლუატაციასა და გარემოს დაბინძურებაზე ქვეყნის მთავრობა ხშირად თვალს ხუჭავს.

ფოთში შექმნილი თიზი შავიზღვისპირეთის ქვეყნებისთვის მიმზიდველი მაშინ იქნება, როცა ამაღლდება საქართველოს ბიზნეს იმიჯი.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონები ბევრგან ფულის გათეთრების, იარაღით ვაჭრობისა და კიდევ ბევრი სხვა არალეგალური საქმიანობის ცენტრიცაა. აქედან გამომდინარე, რამდენად ენდობა მსოფლიოს მსხვილი ბიზნესი ახალ ეკონომიკურ ზონას, ამას დრო გვიჩვენებს. თეზის კონცეფციის გარდა, საჭიროა, ხელისუფლებას ხელთ ჰქონდეს მძლავრი ეკონომიკური ბერკეტები ეკონომიკური მდგრადობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამას სჭირდება კომპლექსური რეფორმები, როგორც სამართლებრივი, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ზურაბ ხომასურიძე

P.S. იმედს ვიტოვებთ, რომ XXI საუკუნის პრობლემა, ეკონომიკური კრიმინალი, ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადების შემთხვევაშიც არ გახდება აქტუალური და ჯერჯერობით ექსპერტების მიერ პანაცეად დასახული კონცეფცია გაამართლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

2009 წელს რუსეთის ქალაქ ვლადიმირის გამომცემლობა **"ACT MOCKBA"**-*მ დასტამბა ცნობილი რუსი ისტორიკოსის ალექსანდრე შიროკორადის სქელტანიანი წიგნი "ომი და მშვიდობა ამიერკავკასიაში". პირველივე გვერდის წაკითხვისთანავე რწმუნდები, რომ ავტორი აშკარად ჰყავთ მოსყიდული საქართველოს დაუძინებელ მტერ სომეხ რეაქციონერებს, რადგანაც ეს ვაი-ისტორიკოსი პირზე დუუმომდგარი ამტკიცებს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო 1918 წელს ჩამოყალიბდა, სომხეთის სახელმწიფოებრიობის ისტორია კი დიდი წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობნის არარატის მთასთან გარიყვით იწყებაო.*

ისე, თუ ობიექტურები ვიქნებით, "მადლობის" მეტი რა გვეთქმის შიროკორადისათვის, რომელმაც ლამის რვა ათეული წლით გაახანგრძლივა საქართველოს ისტორია, რადგან სომეხი სააკაშვილი გაპრეზიდენტების შემდეგ მეთოდურად უმტკიცებს მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ისტორია 2003 წლიდან იწყებაო.

სწორედაც რომ სომხების დაკვეთითაა გამოსული ეს წიგნი, რადგან ისტორიის ამგვარმა შებღალვამ არ შეიძლება ქართული მოსახლეობის გულისწყრომა არ გამოიწვიოს, რაც კიდევ ერთი პოლიტიკური სოლი გახლავთ ქართველი და რუსი ერის გახლეჩის საქმეში. განა ნათელი არ არის, რომ მხოლოდ სომხები არიან დაინტერესებული საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა გამწვავებით, რათა მათ, ჩვეულების შესაბამისად, სხვისი ხელითა და ძალისხმევით მიაღწიონ საქართველოს დაშლა-განადგურების მათთვის სანუკვარ მიზანს.

რაც შეეხება ალექსანდრე შიროკორადისნაირ მეცნიერ-თაღლითებსა და არამზადებს, თუ ისტორიის გამყალბებლები სამმილიონიან საქართველოშიც კი თავზე საყრელად გვყავს და 140-მილიონიან რუსეთში მათ რა დალევს!

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის შებღალვის მსურველთა მხილებისათვის გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ანზორ შონიას წიგნიდან

"სამეგრელო მუდამ იყო აგრეთვე შემნახველი საქართველოს ერთობის იდეისა. თვით ჩვენი დაკნინებისა და დაშლის დროს ცოცხლობდა აქ ეს იდეა".

მიხაკო წერეთელი

საქართველო და ქართველი ხალხი ემზადება საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3.000 წლის იუბილისათვის.

ეს ეროვნული მნიშვნელობის მოვლენაა.

ქართველ მეცნიერებებში ქართული სახელმწიფოებრიობის თარიღზე ერთიანი აზრი არ არსებობს, ასახელებენ 3.500, 3.000, 2.600, 2.300 წლებს, ერთიანი საქართველოს საწყის საუკუნესაც კი (XI საუკუნე), მაგრამ, ჩანს მათ პოზიციები შეაჯერეს და ქართული სახელმწიფოებრიუობის საწყისად კოლხეთის სამეფოს ეპოქა აღიარეს, რასაც საფუძვლად დაედო მიკენური, ასურული და ურარტული წარწერები (ძვ. წ. აღ. XV-XI საუკ), ბერძენი სწავლულების ცნობები კოლხეთზე და კოლხებზე, არქეოლოგიური აღმოჩენები, ბერძნების მიერ შექმნილი მითი კოლხებზე, მეფე აიეტსა და მის ბრძენ ქალიშვილ მედეაზე და ა.შ.

მართებულია ვიფიქროთ, რომ კოლხეთზე მითის შექმნის საფუძველს ბერძნებს კოლხეთში არსებული სინამდვილე აძლევდა, ისინი შესანიშნავად იცნობდნენ იმ ეპოქის ქვეყნებს, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ შეუქმნიათ ესოდენ დიდებული და ლამაზი მითი, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგან ეს მეტყველებს კოლხეთის სამეფოს ავტორიტეტზე ელინურ სამყაროში. ამ მითმა დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველებში ერთიანი შეგნების განმტკიცებაში, მასზე თაობები იზრდებოდნენ.

კოლხეთი მსოფლიოს ხალხებში იმდენად პოპულარულია, იმდენად მშობლიურია ნებისმიერი ქართველისათვის კოლხეთი და კოლხები, აიეტი და მედეა, რომ ქართველი მეცნიერების მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად შემოთავაზებული ვარიანტებიდან, ვფიქრობ, კოლხეთის ეპოქა ყველაზე მისაღებია.

მეცნიერთა მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება უაღრესად დადებითი მოვლენაა, იგი მათი მხრიდან ამ საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე მეტყველებს, ვინაიდან ისახება პერსპექტივა – რეალურად დადგეს კოლხეთის წინარე ეპოქაში აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში ერთიანი სამეფოს, საერთო ეთნოსისა და ერთი ენის მქონე ხალხის არსებობის საკითხი.

არსებობს ვერსია, რომ ისტორიული მოვლენების შედეგად სწორედ ეს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოებად, ხალხი იბერებად (ქართლელებად), კოლხებად (მეგრელებად) და სვანებად, ხოლო ენა, ქართულ-კოლხურ-სვანურ ენებად და არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, კოლხეთის წინარე ეპოქაში ერთიან სამეფოს იბერია ერქვა თუ ეგრისის. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორია კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოების ისტორიაა და ამ ორი სამეფოს და ამ ორი ხალხის გაერთიანებაში იყო ერთიანი საქართველოს და ერთიანი ერის არსი.

ამდენად, ეროვნული თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქართული სახელმწიფოებრიობის პირველი წარმონაქმნი დასავლეთ საქართველოში გაჩნდა თუ აღმოსავლეთ საქართველოში, ვინაიდან ეს მოვლენა სრულიად კანონზომიერად აღიქმება ზოგადქართულ სახელმწიფოებრიობის ქრონოლოგიის საწყისად. ამას უაღრესად დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ერის გამთლიანებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში მთავარია ქართველმა ხალხმა აღიდგინოს ისტორიული მეხსიერება.

ერთმა გარემოებამ ნამდვილად გამაოცა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის წინადადებით, ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ ამ საკითხზე მწვავე დებატები არ გამართულა, რაც ერთობ უჩვეულოა ქართული სინამდვილისათვის. რამდენადაც საქართველოში არ არის განსაზღვრული საკითხების სპექტრი, თუ რომელი ექვემდებარება საჯარო განხილვას და რომელი – კომპეტენტურ წრეებში განხილვას, ნებისმიერ ეროვნულ საკითხზე იმართება ფართო დისკუსია და იმდენი ურთიერთგამომრიცხავი ვერსია წარმოჩინდება, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება თითქმის შეუძლებელია.

მეტიც, ქართველი სწავლულები თავიანთი მოსაზრებების დასამტკიცებლად არ ერიდებიან მეცნიერებაში გაუმართლებელი მეთოდების გამოყენებასაც კი და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუ როგორ აისახება ეს საქართველოს სონამდვილეზე.

როდესაც მეგონა, რომ კომპეტენტურმა პიროვნებებმა ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის თაობაზე გადაწყვეტილება მეცნიერთა მწვავე ურთიერთდაპირისპირების გარეშე მიიღეს, როგორც ირკვევა, მწარედ შევმცდარვარ, ვინაიდან ხელისუფლების მიერ საიუბილეო თარიღად 3.000 წლის დადგენიდან რაღაც დროის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრა და გაზეთ **"საქართველოს რესპუბლიკის"** რედაქცია იწყებენ დისკუსიას თემაზე **"რამდენი წლისაა ქართული სახელმწიფოებრიობა"** (**"საქართვეელოს რესპუბლიკა"**, 19 ოქტომბერი, 2000 წელი).

ერთგვარ გაუგებრობას იწვევს დისკუსიის ინიციატორად უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის დასახელება, ვინაიდან დოკუმენტს, რომელზე დაყრდნობითაც ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყის თარიღზე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, ბატონ ალბერტ თავხელიძესთან ერთად, ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომელიც ამ კათედრის ღირსეული წარმომადგენელია და, ალბათ, გამორიცხულია, რომ ეს საკითხი მის კოლეგებთან არ შეეთანხმებინა.



რაც მთავარია, ვფიქრობ, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საყოველთაო დისკუსიის გამოცხადება ქართული სახელმწიფოებრიობის ასაკის დასადგენად სრულიად გაუმართლებელია, ვინაიდან, ეს ის პრობლემაა, რომელიც კომპეტენტური მეცნიერების გადასაწყვეტია და არა ხალხის.

რამდენად სწორია ამჟამად ამ თემაზე დისკუსიის გამოცხადება, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ **"საქართველოს რესპუბლიკაში"** სისტემატურად ქვეყნდება წერილები ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხებზე.

ავტორების უმეტესობა არ ეთანხმება ხელისუფლებისა და მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის სამეფოს ეპოქის აღიარებას და საიუბილეო თარიღად 3.000 წლის გამოცხადებას.

ზოგიერთ ქართველ მეცნიერს მიაჩნია, რომ არსებული ისტორიული მასალა ამის საფუძველს არ იძლევა, უფრო ემხრობა ვერსიას – ქართული სახელმწიფოებრიობის ქრონოლოგია დაიწყოს ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების (ძველი წელთაღრიცხვის VI საუკ.) ან იბერიის სამეფოს წარმოქმნის ეპოქიდან (ძველი წელთაღრიცხვის IV საუკ.); შესაბამისად, საიუბილეო თარიღად დადგინდეს 2.600 ან 2.300 წელი.

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ, უფრო გამართლებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად დაედგინათ არა კოლხეთის ეპოქა, არამედ მცირე აზიაში არსებულ ტომთა გაერთიანების თუ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ე.წ. **"დაიაენის"** თუ **"დიაუხის"** ეპოქა.

სწავლულთა ერთი ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის სამეფოს ისტორიის აღიარება, ვინაიდან ეს მათ ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხში იბერიის სამეფოს როლის იგნორირებად აღიქვეს, რაც უაზროდ მიმაჩნია და ვთვლი, რომ ეს კუთხური ცნობიერების გავლენაა.

ქართველ მეცნიერებს რომ სხვადასხვა მოსაზრება აქვთ ქართული სახელმწიფოებრიობის საწყის ეპოქაზე, ამაში მოულოდნელი არაფერია; მაგრამ შემაშფოთებელია ის, რომ თუ ზოგადქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწისად კოლხეთის სამეფოს ეპოქის აღიარებას უაღრესად დადებითი როლი უნდა შეესრულებინა ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და ერის გამთლიანებისათვის, ამ საკითხზე ამდენი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრების არსებობამ შეიძლება უკუშედეგი მოგვცეს, ვინაიდან ეს საზოგადოებას აბნევს და ეროვნულ ცნობიერებას კიდევ უფრო ამახინჯებს...

...შეუძლებელია, ქართველ მეცნიერებს ეს გაცნობიერებული არ ჰქონდეთ. მით უფრო გასაკვირია მათი დიდი ერთგულება ამ ვერსიისადმი, მაშინ, როდესაც მათ აქვთ იმის სრული მორალური უფლება, რომ ივარაუდონ აღმოსავლეთ-დასავლეთ ქართველებში საერთო ეთნოსის დომინანტის არსებობა.

გამოქვეყნდა ბატონ რევაზ ბარამიძის წერილი, **"ფარნავაზი – მამულად ქართველი"** (**"საქართველოს რესპუბლიკა"**, 07.XI.2000). მართალია, იგი აღიარებს, რომ კოლხური კულტურა ორგანულად ჩვენია, რომელმაც განაპირობა ქართული ეროვნული სახელმწიფოს წარმოქმნა, მაგრამ მიიჩნევს, რომ კოლხეთის ეპოქაში ერთიანი საქართველოს ცნება არ არსებობდა, რის გამოც ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ფარნავაზის ეპოქა (ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნე) და საიუბილეო თარიღად გამოცხადდეს 2.300 წელი, მით უმეტეს, კოლხეთზე არსებული მითი და ცნობები არ იძლევა საშუალებას დადგგინდეს კოლხეთის საზღვრები (განსაკუთრებით აღმოსავლეთით) და ენა ან დიალექტი, რომელზეც მეტყველებდნენ კოლხები.

ბატონი რევაზი თვლის, რომ მთავარია არა წელთა სიმრავლე, არამედ დამაჯერებლობა. ქართული სახელმწიფოებრიობის დაწყება კოლხეთის ეპოქიდან მას მითიურად ეჩვენება, მაშინ, როდესაც ფარნავაზის ეპოქა თითქოს ჭეშმარიტად ისტორიული რეალობაა და მას ვერავინ ჩაგვითვლის **"ურაპატრიოტობაში"**.

სამწუხაროდ, ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ფარნავაზის ეპოქა არანაკლებ ტოვებს ლეგენდის შთაბეჭდილებას, ვიდრე ბერძნების მიერ კოლხეთზე და კოლხებზე შექმნილი მითი; მხოლოდ მროველმა მისგან ნავარაუდევ ფარნავაზის ეპოქიდან 14-15 საუკუნის შემდეგ შექმნა მასზე ლეგენდა, ხოლო კოლხური მითის ავტორი ბერძნები აიეტის და მედეას თანამედროვეებად მოიაზრებიან. შესაბამისად, ქართული სახელმწიფოებრიობის ხნოვანების განსაზღვრისას საკითხი, თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა, მროველის **"ქართლის ცხოვრებაში"** მოყვანილ ცნობას ფარნავაზის მიერ ქართული სახელმწიფოს შექმნაზე, რომელიც არც ერთი უცხოური წყაროთი არ არის გამაგრებული, თუ ბერძნულ მითს კოლხეთზე და ბერძენი სწავლულების მიერ დატოვებულ ცნობებს, ასე მარტივად გადასაწყვეტი არ არის.

წერილიდან ჩანს, რომ ბატონი რევაზი ფრთხილობს ჩვენმა არაკეთილისმსურველებმა არ **"გვამხილონ"** ქართული სახელმწიფოებრიობის საუკუნეთა სიმრავლით გატაცებაში და **"ურაპატრიოტიზმში"**. მაგრამ, დამერწმუნეთ, არა მგონია, რომელიმე უცხოელმა მეცნიერმა გაიზიაროს ქართული სახელმწიფოს წარმოშობის ის ვერსია, მხოლოდ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, რომელიც ამ მოვლენიდან 14-15 საუკუნის შემდეგ არის შედგენილი და არავითარი სხვა წყაროთი არ არის გამაგრებული.

ანზორ შონია,
"ფაზისის" აკადემიის
ნამდვილი წევრი

P.S. გაზეთის შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ ბატონ ანზორ შონიას საკადრის პასუხს ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის საკმაოდ არამეცნიერულ შენიშვნაზე, მისი ერთ-ერთი სტატიის მიმართ.

მეგრულ და ქართულ ენებს შორის მურმანის (ლებანიძის) ეკალივით ამოზრდილ ფუტკარაძეს, გვანცელაძეს და მათ ძმებს!

ამას წინათ საქართველოს ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთში ტარდება მოსახლეობის აღწერა, სადაც საქართველო ლამის ოც ეთნიკურ ზონადაა დანაწილებული. თურმე რუსები ცალკე ეროვნებებად აღწერენ მეგრელებს, გურულებს, ქართველებს, კახელებს, სვანებს, ფშაველებს, ხევსურებს და სხვა.

არ უნდა გაგვიკვირდეს ზოგიერთი იმ რუსი პოლიტიკოსების საქართველოს ისტორიის უცოდინარობით (თუ შეგნებულად) გამოწვეული მცდარი დასკვნები, რადგან ზოგიერთი ქართველი სწავლული ბევრად უფრო მკრეხელურ აზრს გამოთქვამს მეგრელებისა თუ მეგრული ენის რაობის თაობაზე.

ჩვენ უკვე ვაცნობეთ გაზეთ **"ილორის"** მკითხველებს იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 20 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია **"ისტორიული მემკვიდრეობის"** წევრებმა წერილი მისწერეს რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს, სადაც გულისტკივილით იყო გამოთქმული იმის გამო, რომ რუსეთში, გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა მცდელობის შედეგად, რომელთათვისაც დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს ქართულ-რუსული მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობები, დაურიდებლად ყალბდება ისტორია და ქართველი და რუსი ხალხები ლამის ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად გამოჰყავთ, რაც ორივე ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენელთა გულისწყრომას იწვევს. არ შეიძლება, რომ ორი ისტორიულად მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვანი დამოკიდებულება ვიღაც შემთხვევითი და ანგაჟირებული პოლიტიკური სუბიექტების პრივატიზებულ თემად იქცეს.

საკმაოდ გაკვირვებულნი დავრჩით, რადგან ზუსტად ერთ კვირაში ჩამოვიდა დიმიტრი მედვედევის მიერ ხელმოწერილი პასუხი, რომელიც გვაუწყებდა:

"დიდი გულისყურით გავეცანი თქვენს მომართვას. იმ დროს, როცა ერთმანეთისათვის მახლობელი რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობა მძიმე გამოცდას გადის, აუცილებელია, აღდგენილ იქნას ისტორიული სამართლიანობა, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჩვენი წარსული ურთიერთობების სიდიადეს.

სამწუხაროდ, ბოლო დროს დაურიდებლად მახინჯდება ქართულ-რუსული მეგობრობისა და კეთილმეზობლური თანადგომის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და, სამწუხაროდ, ეს ხდება შეგნებულად, ჩვენი სახელმწიფოების განმხოლოებით დაინტერესებული პოლიტიკური ძალების მიერ.

სწორედ მეცნიერთა პროფესიული ღირსების საქმეა, რომ სააშკარაოზე გამოიტანოს ისტორიის ფალსიფიცირების ყველა მცდელობა და მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს ჩვენს წინაპართა მდიდარი მემკვიდრეობა.

ამ მხრივ თქვენი ინიციატივა დროულად და აქტუალურად მესახება. ეს მეტად მნიშვნელოვანი რესურსია, რაც ხელს შეუწყობს ორი ერის ურთიერთპატივისცემის განმტკიცების საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ძალისხმევა სათანადოდ იქნება მხარდაჭერილი რუსი მკვლევარების მიერ, რომლებიც, ისევე როგორც თქვენ, დაინტერესებული არიან იმ საამაყო ფურცლების გამომზიურებით, რომელიც უხვადაა ქართულ-რუსულ ისტორიულ ურთიერთობებში და რომლითაც ესოდენ ამაყობს ორივე ერი.

გისურვებთ წარმატებებს და ყოველგვარ სიკეთეს.

დიმიტრი მედვედევი".

სამწუხაროდ, გარკვეულ გარემოებათა გამო ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმ დროს მეცნიერების მოსკოვში გაგზავნა, რათა ჩვენს ხელისუფლებას კრემლის აგენტის იარლიყი არ მიეწებებინა მათთვის. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მაინც დღის წესრიგში დგას ეს საკითხი და აუცილებლად უნდა შედგეს ქართველი და რუსი მეცნიერების შეხვედრა, რათა საბოლოოდ დადგინდეს ის ისტორიული ჭეშმარიტება, რომელიც არავის მისცემს უფლებას, რომ ერთმნანეთს მტრად გადაჰკიდოს ეს ორი ხალხი.

მაგრამ, როგორც ხედავთ, რუსეთის პრეზიდენტს ამ წერილში მხოლოდ ერთი ფრაზის დამატება გამორჩა: **"თქვენ იმ ქართველ გამყალბებელ მეცნიერებს მიხედეთ, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ და აბუჩად იგდებენ მეგრული ენის ფენომენს, რადგან სწორედ ეს გახლავთ ისტორიული ჭეშმარიტების შერყვნა, გამყალბებელ რუს მეცნიერებს კი ჩვენ თვითონ მოვუვლითო".**

მართალიც იქნებოდა, რადგან დღეს ქუთაისის უნივერსიტეტში ვიღაც პროფესორების ფუტკარაძისა და გვანცელაძის, თბილისში კი ლორთქიფანიძის, სახით არსებული ანტიმეგრული ჯგუფი მურმანისეული მონდომებით მოქმედებს მსოფლიოს მიერ აღიარებული ამ პრეისტორიული ფენომენის წინააღმდეგ.

ამას წინათ ჩვენმა დიდმა გულშემატკივარმა და თანამდგომმა ქალბატონმა ნაზი ქობალიამ თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის საცავში აღმოაჩინა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, მე-19 საუკუნის პეტერბურგის უნივერსიტეტის პედაგოგის დიდი ალექსანდრე ცაგარელის აღზრდილისა და ნიკო მარის თანაკურსელის იოსებ ყიფშიძის წიგნი **"Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка"**, რომელსაც შემდეგი მიძღვნის წარწერა ამშვენებს: **"ჩემო ნოდარ! ეხლა მაინც უნდა დარწმუნდე სადაა ერთიანი საქართველოს ძირი. პატივისცემით, აკაკი შანიძე, 1986 წლის 7 აგვისტო"**. ამ მინაწერის ადრესატი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ნოდარ ნადირაძე.

საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნზე გაკეთებული ეს მცირე მინაწერი ფაქტიურად გახლავთ დიდი მეცნიერის კომპეტენტური დასკვნა, რაც ღირსეულ ადგილს მიუჩენს მეგრულ ფენომენს მსოფლიო კულტურის უნიკალურ ექსპონატებს შორის.

მაგრამ რა არის ანგაჟირებული ფუტკარაძისა და გვანცელაძისათვის დიდი მეცნიერის ეს პირუთვნელი დასკვნა? მით უმეტეს მაშინ, რომ საქართველოს მოსომხო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს ამგვარი ფუტკარაძეებისა და გვანცელაძეების ხელით დააკნინოს საქართველოს ისტორიული წარსული და გაახმოს მისი ფესვები. ისინი არც იმას უწევენ ანგარიშს, რომ პროფესორ გია კვაშილავას მიერ **"ფესტოსის დისკოს"** გაშიფვრის შემდეგ თვით ამბიციური ბერძნებიც კი აღიარებენ, რომ ელინური კულტურა კოლხურ ცივილიზაციაზეა დაფუძნებული.

ძნელად სარწმუნოა, რომ პროფესორებმა ფუტკარაძემ და გვანცელაძემ ქვეცნობიერად მაინც არ იცოდნენ მეგრული ფენომენის ისტორიული ღირსებების თაობაზე, და თუ ანტიქართული ძალების შეკვეთითა და წაქეზებით ცდილობენ საქართველოს მოკვეთას მისი კოლხურ-მეგრული ფესვებიდან, ეს უკვე აშკარა მეცნიერული თაღლითობა და არაკეთილსინდისიერება გახლავთ. ასეთ ადამიანებს კი სტუდენტთა აუდიტორიებში შესვლისა და ახალგაზრდების დამოძღვრის არც მორალური და არც იურიდიული უფლება არ გააჩნიათ.

მეცნიერება ხომ უპირველესად კეთილსინდისიერებაა, რომლის აშკარა ატროფია იგრძნობა ამ ვაი-მეცნიერების მიერ შეთითხნილ ყოველ ანტიმეგრულ პასქვილში!

აკადემიკოს კლიმენტი შელიას თავის წიგნში **"კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე"** მოყვანილი აქვს აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ **"ყოველი ქართველი წირვა-ლოცვას მუდამ ქართულად ისმენდა, ახლა კი მეგრულად და სვანურადაც უნდა ვილოცოთ? ქართველმა აკადემიკოსებმა ერთხელ უკვე გადაარჩინეს საქართველო – ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ"...**

ჩვენთვის უცნობია, ნახევარი საუკუნის წინ როგორ გადაარჩინეს ქართველმა აკადემიკოსებმა საქართველო (ეგების უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო: **"როგორ ვერ მოხერხდა საქართველოს გახლეჩვა"**), მაგრამ, სამაგიეროდ, მთელმა ქართველმა ხალხმა კარგად იცის, ნახევარი საუკუნის წინ ხელისუფლებამ როგორ ააწიოკა სამეგრელო (რომ აღარაფერი ვთქვათ შევარდნაძე-იოსელიანის მიერ სამეგრელოში ჩატარებულ სადამსჯელო ექსპედიციებზე), შეთითხნა **"მეგრელთა საქმე"**.

არაერთგზის აღნიშნულა მასმედიაში, რომ მეოცე საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში, კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ ისევ დაიწყო **"მეგრული საპარატიზმის"** პროვოცირება. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ყველაფერი ეს ხდება იმ კუთხის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტობრივად ქვეყნის ერთიანობის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი იყო. ეს დასტურდება სულმნათი აკაკი შანიძის მინაწერითაც იოსებ ყიფშიძის წიგნზე, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. რაც შეეხება დიდ ქართველ ენათმეცნიერს იოსებ ყიფშიძეს, მან შეისწავლა მეგრული ენის გავრცელების არეალი და მიუთითებდა, რომ მეგრული ენის ნაკვალევი ჩანს სამეგრელოდან შორს, კერძოდ საინგილოში და მრავალ სხვა ადგილებში. ბატონი ანზორ შონია აღნიშნავს: **"მით უმეტეს, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ჰერები (იგივე კახელები) და მეგრელები ერთი ეთნოსის ხალხი იყვნენ".** რომ ალბათ ენა იყო ძირითადი არგუმენტი, რამაც ათქმევინა ბიზანტიელ სწავლულებს **"ალბანები მეგრელები არიანო".**

სწორედ ამიტომ განაცხადა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარემ ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ საზოგადოების მეორე ყრილობაზე: **"თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სამეგრელოს პრობლემებზე, სამეგრელოს მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, სამეგრელოს პერსპექტივებზე ნებისმიერი მსჯელობა გარკვეულ წრეებში მაშინვე იწვევს ბრალდებას სეპარატიზმში. თვით სიტყვაც კი "სამეგრელო", ზოგიერთის ავადმყოფურ აზროვნებაში სეპარატიზმთანაა დაკავშირებული. ამ სენმა ისეთი გავრცელება ჰპოვა, რომ თვით მეგრელებიც კი ერიდებიან სამეგრელოს სავალალო მდგომარეობაზე, მეგრულ კულტურასა თუ სპეციფიკაზე საჯარო საუბარს, ამ ბრალდების თავიდან ასაცილებლად...**

...რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებში შედის ამ უმდიდრესი საუნჯის დაკარგვა? დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობების ინტერესებში ეს დანაშაულებრივი ქმედებანი არ შეიძლება შედიოდეს"...

ნათელია, ვის ინტერესებშიც შედის ქართული კულტურის გაბიაბრუება და განადგურება – ეს გახლავთ სომეხთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება, რომელსაც **"წარმატებით"** ახორციელებს საქართველოს სომხური ხელისუფლება ისეთი მატრაბაზი **"მეცნიერების"** ხელით, როგორებიც არიან ლორთქიფანიძეები, ფუტკარაძეები და გვანცელაძეები!

სწორედ ამგვარი **"მეცნიერების"** დამსახურება გახლავთ ის, რაც მათ საშობაო ეპისტოლესთან დაკავშირებით გააკეთეს – უწმინდესსა და უნეტარესს შეაპარეს წმინდა წყლის ანტიმეგრული ტექსტი, რამაც სამეგრელოს მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

წარმოიდგინეთ, რომ არ ყოფილიყო მეგრული ენა, როგორ შესძლებდა პროფესორი გია კვაშილავა **"ფესტოსის დისკოზე"** ამოტვიფრული ტექსტის გაშიფვრას, რომელსაც ასი წლის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხეს მსოფლიოს სახელგანთქმულმა მკვლევარმა მეცნიერებმა. საქართველოში კი, ნაცვლად იმისა, რომ საჯაროდ მადლობა გამოეცხადებინათ ახალგაზრდა ქართველი მეცნიერისათვის, რომლის მიერ შექმნილმა ალგორითმა კიდევ მრავალი უცხო ისტორიული ნაწერები გაშიფრა და რომელიც ერთხმად აღიარეს მსოფლიოს უდიდესმა მეცნიერებმა ძებიშმა, აიზენბერგმა და ლონდონის სამეფო აკადემიამ, ქართული პრესა თავს დაესხა კვაშილავას და ლამის შარლატანად შერაცხეს უნიჭიერესი ადამიანი, რომელმაც ჭეშმარიტი ფურორი მოახდინა მსოფლიო ენათმეცნიერებაში. და ვიდრე გაზეთ **"ილორის"** მეშვეობით საკადრისი საპასუხო წერილი არ **"ვუძღვენით"** ამგვარ ავყია ჟურნალისტებს, მათ გაჩერებას საშველი არ დაადგა.

წარმომიდგენია, რა ამბავს ატეხდნენ სომხები, მათ რომელიმე მეცნიერს კვაშილავას მსგავსი წარმატებისათვის რომ მიედწია! აღსანიშნავია ისიც, რომ სომხებს სომხური ენის მეტი სხვა სასაუბრო ენა არ გააჩნიათ, მაგრამ მაინც მოახერხეს, რომ სამხრეთ-სომხური ორი დიალექტი ევროკონვენციის მიერ დაცული ენების ნუსხაში შეეტანათ.

აი, რითი გვჯობიან სომხები, რომელთაც არ უჭირთ სიყალბის რეალურად წარმოჩენა, მაშინ, როცა ჩვენი ვაიქართველები რეალობას სიყალბედ თვლიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მეგრულ და სვანურ ენებს ეხება.

ზუსტად ისეა საქმე, ვიღაც უბირი კაცი ხეზე იმ ტოტს რომ ჭრიდა, რომელზეც თავად იყო წამოსკუპებული.

ფრთხილად, ბატონებო, თორემ მაგრად დაენარცხებით მიწას!

ახლა კი მინდა შევახსენო ყველა მეგრელთმოძულე **"ქართველს"**, რომ მათი სიძულვილი ზღვაში წვეთია იმ სიყვარულთან შედარებით, რასაც სამეგრელოსა და მეგრულის მიმართ ავლენდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და სხვა დიდი ქართველი მამულიშვილები!

მარადიული საქართველოში არაფერია, გარდა ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ენებისა და უნდა იცოდნენ დევთან მორკინალმა ნაცარქექიებმა, რომ მეგრული ენისადმი სიძულვილი ბუმერანგად მოუბრუნდება მათ, სხვა **"მეგრელთმოძულეთა"** დარად ისინიც სამარეში ჩაიტანენ ამ სიძულვილს, ხალხი კი მათ სახელებს საერთოდ აღარ ახსენებს, რადგან **"მიცვალებულებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს"!**

მაგრამ, როგორ შეიძლება კარგი თქვა იმ გარდაცვლილ ქართველ მწერალზე, პოეტზე ან მეცნიერზე, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე საკუთარ ფესვებს ებრძოდა და ერჩია ეთქვა ქართველი კი არა, სომეხი ვარო, ოღონდ არ ეღიარებინა ის, რომ ერთიანი საქართველოს ისტორიულ ქვაკუთხედს სწორედ კოლხეთი წარმოადგენს და მას მეგრული ფესვები გააჩნია.

არ შეიძლება დღეს უარყო ის, რასაც ოცდაექვსი საუკუნის სიღრმიდან გვეუბნება დიდი ჰეროდოტე: **"ოდესდაც კოლხებს საკუთარი დამწერლობა ჰქონიათო".**

როცა ჰეროდოტესთანა სიზუსტის დიდოსტატი ისტორიკოსი ზუსტ თარიღს ვერ აღგენს და ხმარობს სიტყვას **"ოდესღაც"**, მაშინ ოცდაექვს საუკუნეს კიდევ ოცდაექვსი საუკუნე მაინც უნდა დაუმატო, რასაც უკვე პრეისტორიულ ხანაში გადაყავხარ.

ხედავთ, ამხელა სიმდიდრის პატრონები ვართ ქართველები და ვიქცევით ისე, როგორც ნათქვამია: **"თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასაო".**

თუმცა, სიმდიდრის პატრონ გაუგებარ კაცზე ქართველები იმასაც ამბობენ; **"ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო"!**

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის
ნამდვილი წევრი

P.S. გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვაუწყებთ, რომ ბატონ დავით ქობალიასთან ერთად ვამზადებთ დოკუმენტებს სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მიერ ევროპარლამენტში წარსადგენად, რათა მეგრული, ლაზური და სვანური ენები შეყვანილ იქნას ევროკონვენციით დაცული ენების ნუსხაში. სამწუხაროა, რომ მეგრული ენა უპირველესად დასაცავია ლორთქიფანიძისთანა, ფუტკარაძისთანა და გვანცელაძისთანა ვაიქართველებისგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესტოსის დისკო (ანალიტიკური დაიჯესტი)

ამ სტატიის ავტორმა ქეთი ესართიამ ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა ზუგდიდის რაიონში, სოფელ ანაკლიაში და ახლა წარმატებით აგრძელებს სწავლას საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში. იგი დაინტერესდა ცნობილი ქართველი პროფესორის გია კვაშილავას მიერ "ფესტოსის დისკოს" დამწერლობის ამოხსნის საიდუმლოებით, შექმნა აღნიშნული სტატია და წარუდგინა იგი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას, სადაც გაიმარჯვა კიდეც. ჩვენ მკითხველებს ვთავაზობთ ნიჭიერი გოგონას წერილს "ფესტოსის დისკოს" თაობაზე.

საქართველოს ისტორიული ფესვები უძველეს დროშია გადგმული და ათასწლეულებს ითვლის. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი ძველი ქვის ხანის დასაწყისიდან დამკვიდრდა, თუმცა საერთო ქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება მოგვიანებით, დაახლოებით ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოდან დაიწყო. ეთნიკური ერთობის შექმნის ძირითადი პირობა: საერთო ტერიტორია და საერთო ენა ქართველ ტომებს ამ პერიოდისთვის უკვე გააჩნდათ. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის კი ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე უკვე არსებობდა კოლხური დამწერლობა. ამას ადასტურებს დაახლოებით 100 წლის წინ, 1908 წლის 3 ივლისს, იტალიელი არქეოლოგის ლუიჯი პერნიეს მიერ საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი თიხის დისკო, რომლის ასაკი დაახლოებით 4000 წელია. იგი აღმოჩენილ იქნა ქალაქ ფესტოსში. ამიტომაც **„ფესტოსის დისკოს“** უწოდებენ. **„ფესტოსის დისკო“** 100 წლის განმავლობაში ინახებოდა ლონდონის ენათმეცნიერების მუზეუმში, თუმცა მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერებმა ამ ხნის მანძილზე მისი წაკითხვა ვერ შეძლეს. დისკოზე ნაწერის გაშიფვრა ქართველმა მეცნიერმა, მათემატიკოსმა გია კვაშილავამ მოახერხა. იგი 17 წლის მანძილზე დაუღალავად მუშაობდა ამ თემაზე, შეისწავლა ტექსტის გაშიფვრისათვის შესაძლო გამოსადეგი ყველა

დამწერლობითი სისტემა, გაეცნო სათანადო ლიტერატურას და შექმნა უნიკალური ალგორითმი, რომლითაც მოახერხა კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი **„ფესტოსის დისკოს“** საიდუმლოების ამოხსნა. საუბარია არა მხოლოდ თიხის გამომწვარ ფილაზე გადატანილი კოლხური ჰიმნის წაკითხვაზე, არამედ იმაზე, რომ ბატონმა გია კვაშილავამ შეიმუშავა პროტოქართული ნაწერების წაკითხვის ალგორითმი, რაც შესაძლებლობას მისცემს მეცნიერებს, ნათელი მოჰფინონ სხვა უამრავი ტექსტის საიდუმლოებას.

„ფესტოსის დისკოს“ ორივე მხარეს ოქროს ყალიბით (დამწერლობით) ამოტვიფრულია 244 ნახატ-ნიშანი და 61 სიტყვა-კომპოზიტი. სულ 45 ერთმანეთისგან განსხვავებული ნიშანი, რომლებიც შეადგენენ დისკოზე ნაწერს.

ფირფიტაზე **„დაბეჭდილი“** ტექსტი ცენტრიდან პერიფერიისკენ სპირალურად იკითხება. მატრიცა ბრუნავს და შესაბამისად, ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება, მბრუნავი ნიშნები მარჯვენა მხარეს ორმარცვლიანი (სილაბური) ლოგოგრამებია და მათი წყობა მარცხნივ მოცემული ნიშნების საპირისპიროა. ზედა და ქვედა ნიშნებს სპეციალური ფონეტიკური და სემანტიკური მნიშვნელობა აქვს. გია კვაშილავამ შეძლო ამ ნახატ-ნიშნების მორფოლოგიური ღირებულების მარცვლოვანი წაკითხვა და შეაჯამა დისკოს ორივე მხარის შინაარსი. მან მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის – ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების ფონეტიკური გაშიფვრის დროს ისინი შეადარა სხვადასხვა დამწერლობის ნიშნებს (მაგალითად, ეგვიპტურ და ხეთურ-ლუვიურ იეროგლიფებს, პროტო-სინაიტურ კონსონანტურ გრაფემებს, **B**-ხაზოვანი /მიკენურ-ბერძნული და მონათესავე **C**-ხაზოვანი/კვიპროსული დამწერლობების სილაბოგრამებს) და მათ ფონეტიკურ მახასიათებლებს. ასე რომ, კვლევის მეთოდები, რომლითაც მკვლევარმა მიაღწია დისკოზე ამოტვიფრულ ნახატ-ნიშანთა ამეტყველებას კოლხურ ენაზე, მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება და ლინგვისტური, პალეოგრაფიული და არქეოლოგიური მასალებითაა დადასტურებული.

გია კვაშილავას აზრით, **„ფესტოსის დისკოზე“** კოლხური ოქროდამწერლობით ამოტვიფრული ტექსტი წარმოადგენს საგალობელს **„ნენანას“**, რომელიც **„აია-ნეშკარის“** მფარველ, პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დიდ დედაღვთაება ნანას (ანუ რეა-კიბელა-იდეს) სიბილას ეძღვნება.

როგორც რელიგიის ისტორიიდან არის ცნობილი, მოგვიანებით, ქრისტიანულ ეპოქაში, ათონის წმინდა მთაზე, ივერონის მონასტრის ბერები **„ნენანას“** უგალობდნენ, ვითარცა ღვთისმშობელს...

ქართველი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს გახლავთ ოთხი ათასი წლის წინანდელი, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც ქართველურ, კერძოდ, კოლხურ ენაზეა შექმნილი. ბატონმა გია კვაშილავამ ფესტოსის დისკო ამგვარად გაშიფრა:

I მხარე:

აია-ჭაბუკნო, განწმენდილნო, დაფარულო ტაძრის,
აია-ჭაბუკნო, სადარნო, განწმენდილნო დედის ტაძრის,
დაფარეთ თაღი განღვთიურებულნო!
სიცოცხლის ძალნო, წინმავალნო კორიბანტნო,
ქვეყნის სიმტკიცენო
ჰქმენთ დაფარული ტაძარი
ქვეყნის სიმტკიცენო, მარადმავალნო კორიბანტნო,
გარდაქმენით აიას სიცოცხლე ყვეელანაირად.
შუადღის მთვარით განათებულნო,
დედის ქვეყანა მუდამ დაფარეთო,
დაასხით ხელნი, ბრუნვა-ფარვა
სხივოსანო მფარავნო....
ოჯახის ფუძის, ჯიშის სვლა-ბრუნვის განმწმენდელნო.

II მხარე:

ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო,
მოდგმის ნენანავ, ააყვავე ხუთი შტო მშვენი,
ჯიშის სიწმინდით, ახლით ნირშემოსილი.
ერთო ძლიერო შტოვ,
ოჯახის წმიდავ, ძლიერო,
თავური ხუთი შტოისა,
მფარველსხივოსანო ნანადმერთო,
წინამძღოლო,
ხანგრძლივ ჰყავ დედის ტაძარი სპილენძისა.
მაყვავებელო თარხონო,
ნათელო ჰეფესტოვ,
მდნობელო, წინამძღოლო, განმწმენდელსხივოსანო,
დაფარე მისი მოგიზგიზე სასახლე,–
ჩვენო მჭედელო, ახლითმოსილო მთვარისნაირო.

(განმარტებისათვის – **კორიბანტი** მფარველ ანგელოზს ნიშნავს, **ნანადმერთი** – დედაღმერთს, **თარხონი** – ჭექა-ქუხილის ღმერთს, **ჰეფესტო** – ოსტატ ღვთაებას).

გია კვაშილავა **„ფესტოსის დისკოს“** წაკითხვისას დაეყრდნო ქართველი მეცნიერების მიერ პროტოქართველური (კოლხური) ენის აღდგენის შედეგად მიღებულ ლინგვისტურ მასალებს და დაასკვნა, რომ ეს მასალა **„ფესტოსის დისკოს“** წარწერის ადეკვატურია. ამგვარად, ქართველმა მეცნიერმა დისკოზე დაბეჭდილი ტექსტის წაკითხვით მიაგნო ოთხი ათასი წლის წინანდელ პროტოქართველურ, ძველკოლხების ენას, რომლის დღევანდელ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს საქართველოსა და თურქეთის რეგიონებში – სამეგრელოსა და ლაზეთში შემონახული მეგრული და ლაზური ენა, ტექსტი თარიღდება იმ პერიოდით, როდესაც ჯერ არ არის მომხდარი საერთოქართველური დაშლა ერთი მხრივ, მეგრულ-ჭანურ, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ განშტოებებად (ძვ.წ. II ათასწლეული).

ფესტოსის დისკო პირველი **„დაბეჭდილი“** ნაწერია, რადგან მსოფლიოში პირველი ნიმუშია, რომელიც ტოპოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს. ბერძენი პროფესორი ტასოს კაფანდარისი მას პირველ კომპაქტდისკს ადარებს, ფესტოსის დისკოც ხომ სწორედ ინფორმაციის შენახვის მიზნით შეიქმნა და დღემდე არაჩვეულებრივად ასრულებს ამ მისიას – უკვე 37 საუკუნეა, რაც მასზე დატანილ ინფორმაციას ინახავს.

ტასოს კაფანდარისი ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში წერს:

„ზოგიერთი ფესტოსის დისკოს მინოსამდე პერიოდში ეგეოსზე გაბატონებულ ხალხის დამწერლობად მიიჩნევს. ყურადღება მივაქციე იმ ენებს შორის იდენტურობას, რომლებიც დროდადრო დისკოს დამწერლობას იჩემებენ და გამახსენდა ზღვაზე მინოსების ბატონობის მასშტაბები. ვითომ, ნაკლებ სავარაუდოა, ამ ძველ ენას არსობრივი ზეგავლენა მოეხდინა იმ რეგიონის ენების ჩამოყალიბებაზე?

ჩემი ჰიპოთეზა გააძლიერა აიზენბერგის კონფერენციაზე ქართველი გია კვაშილავას მოხსენების წაკითხვამ. ათწლეულების წინ ავსტრიელი პროფესოსი ჰერბერტ ძებიშის მოსაზრებებზე დაყრდნობით „პელაზგური ენებისა“ და მათი კავშირის შესახებ თანამედროვე ქართულთან, მან თავისი კომპიუტერი გამოიყენა -ხაზოვანი დამწერლობისა და ძველი კოლხურის შედარებითი ანალიზისათვის. კვაშილავამ დაასკვნა, რომ არა მხოლოდ ტექსტია კოლხური, არამედ ის კრეტაზე ჩამოიტანეს კოლხების ქურუმებმა – კორიბანტებმა... ამ ენაზე მეტყველებდა მინოსის მეუღლე პასიფაე, რომელიც კოლხეთიდან იყო, ისევე, როგორც კოლხეთის მეფე – აიეტი, მისი ქალიშვილი – მედეა და – ჯადოქარი კირკე“.

„ფესტოსის დისკოზე“ ამოტვიფრული ნახატნიშნები ასევე ვრცელდება უძველეს არქეოლოგიურ ნიმუშებზე: არქალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე, ფესტოსის ლარნაკზე. გარდა ამისა, დისკოზე გამოხატული მრავალი ნიშანი შემდეგაც, ჩვენი წელთაღრიცხვის ქართულ ძეგლებზე არაერთხელ გვხვდება. მაგალითად, როზეტი, რომელსაც ჩვენს ენაზე **„აია“** ჰქვია (იგივე **„ვარდული“**). სულხან-საბას ლექსიკონში მითითებულია, რომ სადაც ეს ნიშანია, მზე იგულისხმება. **„აია“** გამოსახულია ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარზე, გვხვდება ღვთისმშობლის ხატზე და ეს ყვავილი ღვთისმშობლის სიმბოლოა. **„ფესტოსის დისკოზე“** ერთადაა გამოხატული **„აია“-„ვარდული“** და მტრედი. მსგავსი ნიშნის ზუსტი ასლი არის ასახული XI საუკუნის ონის ეკლესიის ორნამენტზეც. **„ფესტოსის დისკოს“** შროშანი სოცოცხლის სიმბოლოა, ის ხშირად გვხვდება ბოლნისის ტაძრის ჯვრებზე.

და ბოლოს, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის **„ფესტოსის დისკო”** არის უბრალოდ თიხის ფირფიტა 16-სანტიმეტრიანი დიამეტრით, რომელიც ამჟამად ირაკლიონის მუზეუმში ინახება, მაგრამ ეს არის არქეოლოგიური ნიმუში, უძველესი ისტორიული წყარო, რომელიც ადასტურებს, რომ ოთხი ათასი წლის წინ ძველი კოლხეთი მაღალი დონის ცივილიზებული სახელმწიფო იყო საკუთარი ენითა და დამწერლობით, რელიგიური წარმოდგენებითა და კულტურით შემკული.

ქეთევან ესართია

გამოყენებული მასალა:
გაზეთი **„ილორი“** №15, №22, №30;
www. Minervamagazine.com - Phaistos-Disk

გაზეთი “ილორი” უძღვება რუბრიკას “მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები”

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები **“მარაკანა”**, **“აცტეკა”**, **“ნოუ კამპი”**, **“სანტიაგო ბერნაბეუ”**, **“ლუჟნიკები”**, **“ოლიმპიაშტადიონი”**, **“ჰემპდენ პარკი”** და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ **“მონსტრებს”** ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის **“გრანდები”**, რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ფრანჩესკო (ფრანკო) ბარეზი

დაიბადა 1960 წლის 8 მაისს, იტალიაში. თამაშობდა კლუბ **“მილანში”**.

ფრანკო ბარეზი, შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი იყო. იგი სიყმაწვილის ასაკიდანვე ჯიუტად მიიწევდა დიდი ფეხბურთისაკენ და თანდათან აუმჯობესებდა თამაშის კლასს. 70-იანი წლების დასასრულს მან უკვე იტალიის ერთ-ერთ ავტორიტეტულ საფეხბურთო კლუბ **“მილანში”** დაიმკვიდრა ადგილი შემტევ ნახევარმცველად. დიდ ხანს ელოდა ბარეზი იტალიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში მიწვევას, რასაც 1987 წელს მიაღწია კიდეც. ამ დროისათვის უკვე ბარეზი **“მილანის”** ხერხემალი და შეუცვლელი ფეხბურთელი გახლდათ, რომელსაც მაშინ წვრთნიდა სახელგანთქმული არიგო საკი.

ფეხბურთის სპეციალისტები დღესაც აღნიშნავენ ბარეზის დიდ როლს **“მილანის”** მიერ იმ პერიოდში მიღწეულ წარმატებებში. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბარეზი იტალიის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და შეტევების სულისჩამდგმელი გახლდათ, მაგრამ საბოლოო წარმატებამდე ორი კვირით ადრე მოედანზე მიღებული ტრავმის გამო ექიმები იძულებული გახდნენ, რომ მისთვის მუხლის რთული ოპერაცია გაეკეთებინათ.

ბაბრიელ ბატისტუტა

დაიბადა 1963 წლის 1 თებერვალს არგენტინაში.

თამაშობდა **გუნდებში “ნიუელს ოლდ ბოიზი”**, **“რივერ პლეიტი”**, **“ბოკა ხუნიორსი”** (არგენტინა), **“ფიორენტინა”** (იტალია) და **“რომა”** (იტალია).

შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელ ბატისტუტაზე განსაკუთრებით ფანატიურად არ იყვნენ შეყვარებული ფეხბურთის არგენტინელი გულშემატკივრები. მიუხედავად გულშემატკივართა ამგვარი სკეპტიციზმისა, ბატისტუტამ ექვსი ბურთი გაიტანა სამხრეთ ამერიკის 1991 წლის ჩემპიონატში, რისი წყალობითაც არგენტინის ნაკრებმა ამ ჩემპიონატში გაიმარჯვა. ამავე დროს, ბატისტუტა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, რაც მისი იტალიაში მიწვევის მიზეზად იქცა. მისი გულისათვის **“ფიორენტინამ”** უარი განაცხადა მეორე არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო ლატორეს შესყიდვაზე. ამის მიზეზი გახლდათ ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც თავისი განუმეორებელი თამაშის წყალობით მოახდინა ბატისტუტამ გულშემატკივრებსა და ფეხბურთის სპეციალისტებზე.

ფლორენციაში ბატისტუტას მეტსახელად გულშემატკივრებმა **ბატიგოლი** დაარქვეს მისი ეფექტურად თამაშისა და გოლების ხშირად გატანის გამო. მის მიმართ სიყვარული განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა, როცა ბატისტუტამ 1992 წელს **“ფიორენტინა”** არ დასტოვა მას სემდეგაც კი, როცა გუნდმა უმაღლესი ლიგა დასტოვა. სწორედ ბატისტუტას მიერ გატანილი გოლების წყალობით დაბრუნდა მკომდევნო სეზონში გუნდი უმაღლეს ლიგაში, 200 წელს კი ბატისტუტამ **“რომას”** შემადგენლობაში გადაინაცვლა და პირველივე წელს 20 გოლი გაიტანა იტალიის ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში, რაც საუკეთესო შედეგი გახლდათ.



ფრანც ბეკენბაუერი

დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს გერმანიაში.

თამაშოიბდა კლუბებში **“ბავარია”**, **“ჰამბურგი”** (გერმანია) და **“კოსმოსი”** (აშშ)

ფრანც ბეკენბაუერი ერთადერთი სპორტსმენია, რომელიც ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში – ერთხელ (1974 წელს) როგორც გერმანიის ნაკრების კაპიტანი და მეორედ (1990 წელს), როგორც გერმანიის ნაკრების მწვრთნელი.

მისი დებიუტი გემანიის ნაკრებში შედგა 1965 წელს, ერთი წლის შემდეგ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კი გერმანიის ნაკრებმა მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვა, რაც უდავოდ დიდი წარმატება გახლდათ ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის.

შთამბეჭდავია ბეკენბაუერის მიერ მიღწეული წარმატებები:

– 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი;

– 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი;

– 1972 წლის ევროპის ჩემპიონი:

– 1976 წლის ევროპის პრიზიორი;

– 1976 წელს საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი;

– ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი 1974, 1975 და 1976 წლებში;

– ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი 1967 წელს;

– გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი;

ბეკენბაუერმა **“კოსმოსის”** შემადგენლობაში სამჯერ მოიპოვა ჩრდილოეთამერიკის საფეხბურთო ლიგის თასი.

იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

მონღოლეთში ასეთი ტრადიცია აქვთ: თუ ოჯახში ვაჟი დაიბადებოდა მამა ხეს რგავდა, თუ ვაჟი უვარგისი გამოვიდოდა – იმ ხეს ძირში ჭრიდნენ.

ასე რომ, ოდესღაც მთელი მონღოლეთი გაუვალი ტყით იყო დაბურული...

* * *

მაცივარში ათი კვერცხი დევს. პირველი ეუბნება მეორეს:

– ნახე, ის ბოლო კვერცხი რას ჰგავს...

– რა სჭირს, ზედმეტი მაკიაჟი მოუვიდა?

– არა, ალბათ ავადმყოფია, – ჩაერთო საუბარში მესამე.

– რა საფრთხობელაა! – გაიოცა მეოთხემ.

– აბა თქვენა ხართ, ეგ კვერცხი კი არა, კივია! – დააწყნარა მეხუთემ აყაყანებული კვერცხები.

* * *

– სეროჟ-ჯან, რათა ხარ მოწყენილი?

– მა რა ვქნა, – ექვსი გოგო მყავს და არცერთი სიძე...

– ვა, შენ რა, ნააბაროტ გინდა?

* * *

არსებობს ქალის მართვის ორი ხერხი: ერთი, როდესაც უსიტყვოდ ემორჩილები და მეორე – საერთოდ არავინ იცის...

* * *

კახელმა ბიჭებმა მიტუას მანქანა დაატაკეს, შეშინებულები დააგდნენ თავზე და თან ეეჟდრებიან:

– არ დაგვდუპო, ძია მიტო, ადექი, ადექი...

აბრზე მოსულმა მიტომ თვალი გაახილა და ბიჭებს უთხრა:

– ფეხზე არ ვიდექი, თქვენი დედა კი...

რატომ ვერ მოხვდა სინდის-ნამუსი საპრივატიზაციო ნუსხაში

გაყიდვა მოსწრებაზე

კლასიკური გაგებით, პრივატიზაცია კერძო საკუთრების გაფართოებასა და საერთო დოვლათის წარმოებაში დამოუკიდებელ მოღვაწეობას გულისხმობს. ე.ი. ქონების განსახელმწიფობრიობას წარმოადგენს და არა – გასხვისებას. როგორც ირკვევა, პრივატიზაციის კლასიკური გაგება სულაც არ ნიშნავს ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფის მიერ სახელმწიფო ქონების მითვისებას და შემდეგ გაყიდვას ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორებზე. სამწუხაროდ, ჩვენთან პრივატიზაცია სწორედ ასე აღიქმება.

საბჭოთა კოლექტივიზაციის შემდეგ ქართულ ეკონომიკაში პრივატიზაციის სახით ახალი დემოკრატიული ეპოქა დაიწყო. მისმა პირველმა ტალღამ 1992-1995 წლებში გადაიარა. **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ კი ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც ტალღის სიდიდეს გასცდა და ცუნამს გაუტოლდა. ექსპერტების შეფასებით, ეს იყო ახალი ე. წ. **„აგრესიული პრივატიზაცია“**, რომელსაც ეკონომისტები **„კაბინეტურ პრივატიზაციასაც“** უწოდებენ. ახალმა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და საკუთრების სრული ლიბერალიზაცია განახორციელა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სოციალურად გაუმართლებელი იყო და მთავარი აქცენტი ბიუჯეტში თანხების მოზიდვაზე იყო გაკეთებული. ინვესტორები კი იმ დარგებით დაინტერესდნენ, რომლებიც ეკონომიკაში განიხილება როგორც ბუნებრივი მონოპოლიები. ასეთი იყო **„თბილგაზი“**, **„თელასი“**, **„თბილწყალკანალი“**, **„საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო კომპანია“** და სხვ.

მასშტაბურ პრივატიზაციას მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე ხელმძღვანელობდა, რომლის დევიზი იყო **„არ არსებობს სტრატეგიული ობიექტი“**, ანუ იყიდება ყველაფერი, ნამუსის გარდა. **ნამუსი იმიტომ ვერ მოხვდა საპრივატიზაციო ობიექტებში, რომ თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში იგი, უბრალოდ, არ არსებობდა.** სააკაშვილის ხელისუფლებამ ეროვნული ქონების უდიდესი ნაწილი გაყიდა იმ ქვეყნის ინვესტორებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, მუდმივად ომის მდგომარეობაში არიან საქართველოსთან; უმცირესი ნაწილი კი ნახევარსაუკუნოვანი და ბურუსით მოცული იჯარით გასცა. ისიც ხშირად ხდებოდა, რომ საეჭვო წარმომავლობის ინვესტორის უკან ქართველი ჩინოვნიკები იდგნენ. პრივატიზაციის თერაპიამ განკურნა საქართველოს ბიუჯეტი ქრონიკული სეკვესტრისაგან, მაგრამ ობივატელის თვალიც კი შეამჩნევს იმას, რომ პრივატიზაციიდან შემოსული თუნდაც დიდი ფულით შევსებული ბიუჯეტი ეკონომიკას ვერ აამაღლებს.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მრავალწლიანი პრივატიზაციის შემდეგ, საწყალ სახელმწიფოს, რომელიც მავანთათვის მეწველ ძროხად ქცეულა, კიდევ შერჩენია ქონება. დღის წესრიგში ახლა სწორედ ამ ქონების საკითხი დგას. ეკონომიკის სამინისტრომ უკვე გამოაქვეყნა იმ ობიექტების სია, რომლის განსახელმწიფოებრიობა მიმდინარე წელს უნდა მოხდეს. სიაში 90 ობიექტია. მათ შორისაა ყოფილი ფინანსთა სამინისტროს შენობა ვაკეში, რესპუბლიკური საავადმყოფოს, სპორტისა და ფიზიკური კულტურის აკადემიის შენობები. ბიუჯეტის მესვეურნი ფიქრობენ, რომ ამჯერად პრივატიზაციით 250 მილიონ ლარს მიიღებენ.

კლასიკურ პრივატიზაციას მეორე მხარეც აქვს: უკანონოდ ნაყიდი ან შეძენილი ქონება დაბრუნებას ექვემდებარება, კანონდამდვევი – დასჯას. ქართულ პრივატიზაციას კი კლასიკურთან საერთო თითქმის არაფერი აქვს, აქედან გამომდინარე, მეორე მხარე არ არსებობს. ამის მაგალითად **„ბლოკ ჯორჯიაც“** კმარა, რომელსაც თავის დროზე ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა საავადმყოფოები ისე გადასცა, თითქოს წინაპრებისგან ნაბოძები მზითევი ყოფილიყოს. ხელისუფლებამ აღიარა, რომ ეს ნაბიჯი არასწორი იყო, თუმცა არც საავადმყოფოები დაუბრუნდა ხალხს და არც კანონდამრღვევი დასჯილა.

მოკლედ, გაყიდვა მოსწრებაზეა. მთავარია, ბიუჯეტში ფული შევიდეს. შედეგებზე ხელისუფლება პასუხს არ აგებს. პრივატიზაციით ქვეყანამ ბევრი ვერაფერი მოიგო, მოიგეს მხოლოდ ჩინოვნიკებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი ხელისუფლების უდიდესი ნაწილი პრივატიზაციის პირველი ეტაპის დროსაც ხელისუფლებაში იყო. თუ ამ საკითხს ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ ქართველი ერის ქონება სულ რამდენიმე ოჯახმა დაისაკუთრა. ამ მიტაცებას კი პრივატიზება დაერქვა.

ეროვნული ქონება მხოლოდ პათეტიკური ფრაზა არ არის, ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე (ამჟამად სხვა ქვეყნებისთვის თავშეფარებული) მცხოვრები მოსახლეობის მიერ შექმნილი პროდუქცია თავის შენობებიანად, ხიდებიანად, საკაშვილის რეზიდენციანად, ბიუჯეტიანად, პორტებიანად და საავადმყოფოებიანად.

მოკლედ, ყველაფერი, რაც ქართველებმა შექმნეს „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვან“ მხარეში.

ნანა ლაღაძიშვილი

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www.ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27